

სს „თიბისი დაზღვევა“

მმართველობის ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2025 წ.

შინაარსი

1. ზოგადი ინფორმაცია	3
2. საქმიანობის მიმოხილვა.....	4
3. ციფრული არხები	5
4. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	7
5. გენერალური დირექტორის მიმართვა.....	9
6. რისკის მართვა.....	11
7. ჩვენი გუნდი	14
8. სამეთვალყურეო საბჭო.....	15
9. დირექტორთა საბჭო.....	18

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „თიბისი დაზღვევა“ (შემდგომში „თიბისი დაზღვევა“ ან „კომპანია“), „თიბისი ბანკთან“ ერთად, არის საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ წევრი, რომელიც საქართველოს უმსხვილესი ფინანსური ჯგუფია, ცნობილი თავისი მძლავრი ფინანსური მაჩვენებლებით, უმაღლესი დონის მომსახურებით, ძლიერი ბრენდითა და ყველაზე დახვეწილი ციფრული არხებით.

„თიბისი დაზღვევა“ არის წამყვანი სადაზღვევო კომპანია საქართველოს დაზღვევის ბაზარზე, მძლავრი ციფრული მარავალარხიანი მომსახურებით და მრავალფეროვანი და ინოვაციური ციფრული პროდუქტებით. ჩვენ ვცდილობთ მივაღწიოთ მდგრად ფინანსურ შედეგებს და მოვახდინოთ აქციონერთა ღირებულების მაქსიმიზაცია, და ამავდროულად პასუხისმგებლობით ვეკიდებოდეთ ჩვენი მომხმარებლებს, თანამშრომლებს, საზოგადოებასა და გარემოს. ჩვენი ყოველგვარი საქმიანობის მთავარი მიზანი მომხმარებელთა კმაყოფილებაა. ეს სულისკვეთება, ასევე ახალგაზრდა და ნიჭიერი თანამშრომლების ინოვაციურობა, რომლებიც გამოცდილ და მრავალფეროვან მმართველ გუნდთან მჭიდროდ თანამშრომლობენ, უზრუნველყოფს იმას, რომ კომპანია წლიდან წლამდე სტაბილურ ფინანსურ შედეგებს აჩვენებდეს.

„თიბისი დაზღვევა“ მოიცავს ყველა ბიზნესსექტორს, მათ შორის საცალო, მცირე და საშუალო საწარმოების და კორპორაციულ სექტორებს და საცალო და ბიზნესკლიენტების სხვადასხვა მოთხოვნას მრავალფეროვანი პროდუქტებით აკმაყოფილებს. პროდუქტების მიწოდება ხდება კარგად განვითარებული მრავალარხიანი ქსელის საშუალებით. თითოეული არხი და პროდუქტი მისადაგებულია მომხმარებელთა კონკრეტული ჯგუფის საჭიროებებისა და მოთხოვნებისადმი.

ჩვენი ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულება ემსახურება 68,000 დაზღვეულ კლიენტს ქვეყნის მასშტაბით 425 პროვაიდერი კლინიკის მეშვეობით.

კომპანიას დანერგილი აქვს პირველი ციფრული ჯანდაცვის ეკოსისტემა საქართველოში – „რედმედი“. შპს „რედმედის“ ერთპიროვნული მფლობელი არის „თიბისი დაზღვევა“ და წარმოადგენს 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთადერთ შვილობილ საწარმოს.

რედმედი არის სამედიცინო მომსახურების მოძიების სრულად ციფრული კომპანია, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს სწრაფად მოიძიონ, დაჯავშნონ და მიიღონ სამედიცინო მომსახურება დისტანციურად. აპლიკაცია მარტივი გამოსაყენებელია - მომხმარებელს მხოლოდ მოეთხოვება დარეგისტრირება და ანგარიშის შექმნა, რათა იპოვოს სასურველი ექიმი, დაჯავშნოს ვიზიტი, მიიღოს სამედიცინო კონსულტაცია ონლაინ ან შეუკვეთოს წამლები.

ვინაიდან ეკოსისტემური სერვისების მოდელი სულ უფრო პოპულარული ხდება, მიგვაჩნია, რომ მომსახურების ეს მოდელი წარმატებული გამოდგება და შესაძლებლობას მოგვცემს:

- უკეთ შევძლოთ მონაცემების ანალიზი, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ჩვენი ანდერაიტინგის ეფექტურობას.
- შევამციროთ არასაჭირო ამბულატორიული ვიზიტები კლინიკებში, რის შედეგადაც იკლებს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნების დაკმაყოფილების ხარჯები და, საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება ზარალიანობის კოეფიციენტზე.
- მოვახდინოთ პროცესების ავტომატიზაცია და დაუყოვნებლივ განვსაზღვროთ და ავანაზღაუროთ დამდგარი ზარალი.

ჩვენი ხედვა

სწორი გადაწყვეტილებების მიღებით ჩვენ ყველას ვუმარტივებთ ცხოვრებას.

სტრატეგიული პრიორიტეტები

- ზარალის გამჭვირვალედ, მოსახერხებლად და დროულად ანაზღაურების მომსახურება
- გაციფრულებული გაყიდვების არხები და პროცესები
- წმინდა კომბინირებული კოეფიციენტის ეფექტური მართვა¹
- მხარდამჭერი, ძლიერი და თანამედროვე ბრენდი
- მომხმარებელთან უმაღლესი დონის ურთიერთობის გამოცდილება როგორც კორპორაციული, ისე ინდივიდუალური კლიენტებისთვის

2. საქმიანობის მიმოხილვა

2024 წლისთვის, დაზღვევა კასკო (უბედური შემთხვევების და ავარიების დაზღვევა), ბაზრის 35.8%-იანი წილით, უმსხვილეს პროდუქტად რჩება ქართულ არაჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარზე. კასკოს ბაზარი, წინა წელთან შედარებით, 16.9%-ით გაიზარდა და ეს იყო მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო არაჯანმრთელობის დაზღვევის მთლიანი ბაზრის ზრდას 13.2%-ით. 2025 წელს დაფიქსირებული 25.5%-იანი ბაზრის წილით, „თიბისი დაზღვევამ“ არაჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარზე მეორე ადგილი შეინარჩუნა.

მთლიანი არაჯანმრთელობის დაზღვევის ბაზრის (მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის გარდა) მოზიდული პრემიები 93,585 ათასი ლარით

¹წმინდა სადაზღვევო მოთხოვნებს დამატებული აკვიზიციური და ადმინისტრაციული ხარჯები და შეფარდებული წმინდა გამოუმუშავებელ პრემიასთან.

გაიზარდა (2024 წელს 653,240 ათასი ლარიდან 2025 წელს 746,825 ათას ლარამდე). ზრდის დიდი წილი მოდის კორპორაციულ და საცალო სექტორზე, ხოლო სახელმწიფო სექტორი თითქმის უცვლელი დარჩა.¹

2025 წელს „თიბისი დაზღვევის“ ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევებია:

- პირველი ადგილის შენარჩუნება საცალო არაჯანმრთელობის, აგრეთვე მთლიანი არასახელმწიფო დაზღვევის ბაზარზე და პირველი ადგილის მიღწევა მთლიანი დაზღვევის ბაზარზე.
- ციფრული წარმომადგენლობის განახლება და გაუმჯობესება, დამზღვევების მიერ აპლიკაციის გამოყენება 2024 წელთან შედარებით, 33%-ით გაიზარდა.
- გაუმჯობესებული დაზღვევის წმინდა კომბინირებული კოეფიციენტის შენარჩუნება (85.6% – 2025 წელს, 88.1% – 2024 წელს), ამავდროულად ჯანმრთელობის დაზღვევის პორტფელის 18.0%-ით ზრდა.

2025 წელს „თიბისი დაზღვევამ“ გააგრძელა სხვადასხვა საცალო გაყიდვების არხის აქტიური გამოყენება. ეს არხებია: როგორც შიდა, ისე გარე ციფრული ქსელები, ბანკის ფიზიკური ფილიალები, კომპანიის მაღალშემოსავლიანი ფიზიკური პირების გაყიდვების განყოფილება, სააგენტოების ქსელი (ბათუმის, ფოთის, ზუგდიდისა და ქუთაისის ფილიალების ჩათვლით) და ავტომოვაჭრეები. ამ არხების მეშვეობით მთლიანად მოზიდული პრემია 2025 წელს 140.4 ათას ლარს შეადგენს. ეს შეესაბამება 23.7%-იან წლიურ ზრდას.

3. ციფრული არხები

2024 წელს ჩვენი მიზანი მარტივი იყო: უფრო ადვილი, სწრაფი და მეტი ჩართულობის მქონე სადაზღვევო გამოცდილების შექმნა. ჩვენ ჩვენი მობილური აპლიკაცია და ციფრული პლატფორმები ამ ტრანსფორმაციის ცენტრში მოვაქციეთ, სრულიად გარდავქმენით ის, თუ როგორ ურთიერთობენ მომხმარებლები დაზღვევასთან ყოველდღიურ ცხოვრებაში.

2025 წ. – ბიზნესსაქმიანობის შედეგების გაუმჯობესება გაციფრულების გზით

2025 წელს ჩვენ დავაჩქარეთ ჩვენი ციფრული ტრანსფორმაცია, რისთვისაც მობილური აპლიკაციები და ციფრული პლატფორმები ვაქციეთ მომხმარებელთა ჩართულობის, ოპერაციული ეფექტიანობისა და ბიზნესის ზრდის ძირითად მამოძრავებელ ძალად.

¹ფინანსური წლის განმავლობაში ძალაში შესული ყველა ხელშეკრულების სახელშეკრულებო სადაზღვევო პრემიების ჯამი, გამოკლებული ფინანსური წლის განმავლობაში გაუქმებული ხელშეკრულებების გაუქმების ეფექტი.

ციფრულმა არხებმა განაგრძეს ძლიერი კომერციული შედეგების უზრუნველყოფა, შედეგად მთლიანი მოზიდული პრემია, წინა წელთან შედარებით, 33%-ით გაიზარდა — 2024 წლის 3.17 მლნ ლარის მაჩვენებლიდან 2025 წლის 4.20 მლნ ლარის მაჩვენებლამდე, რაც ასახავს ციფრული გაყიდვების შესაძლებლობებისა და ეკოსისტემურ ინტეგრაციათა მზარდ გავლენას.

მობილური აპლიკაცია TBCi

„თიბისი დაზღვევის“ აპლიკაცია განაგრძობს განვითარებას, როგორც მომხმარებელთა ჩართულობის საკვანძო პლატფორმა, რაც დაზღვევას უფრო ხელმისაწვდომს, მარტივსა და ეფექტიანს ხდის, და ამავედროულად მომხმარებლის გაუმჯობესებული გამოცდილების მეშვეობით ხელს უწყობს ბიზნესის ზრდას. 2025 წლის პირველ ნახევარში ჩვენ გამოვუშვით სრულად გადახალისებული აპლიკაციის საბოლოო ეტაპი, რომელიც ორიენტირებული იყო გამოყენებადობაზე, სიმარტივესა და მომხმარებელზე ორიენტირებულ დიზაინზე. ახალი პროცესების 50% გაიტესტა მომხმარებელთა 27%-ზე მეტზე წლის პირველი ორი კვარტლის განმავლობაში, რამაც კარგი შედეგები უზრუნველყო. ამ პროგრესმა გამოიწვია აპლიკაციის გამოყენების ძლიერი და სტაბილური ზრდა. 2025 წლის დეკემბერში თვიურმა აქტიურმა მომხმარებლებმა 41.0 ათასს მიაღწია, ხოლო აპლიკაციის უნიკალური მომხმარებლების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 33%-ით გაიზარდა (39.5 ათასიდან 52.5 ათასამდე). ამავედროულად, წლის ბოლოსთვის მომხმარებლის ძალისხმევის ინდექსი (Customer Effort Score) 96.04%-ს გაუტოლდა, რაც ასახავს მომხმარებლის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ და მეტად გამარტივებულ გამოცდილებას.

ზრდის ძირითადი მაჩვენებლები

აპლიკაციის საფუძველზე განხორციელებულმა სამოგზაურო დაზღვევის გაყიდვებმა ძლიერი დინამიკა აჩვენა, რასაც ხელი შეუწყო დიზაინის შეცვლისა და ფასწარმოქმნის ინიციატივებმა, რომლებმაც შედეგიანობა გააუმჯობესა. პარალელურად, VISA-სთან პარტნიორობით Platinum ბარათების მფლობელებისთვის დანერგილმა TBCi Moves-მა აპლიკაციის შიგნით სამოგზაურო დაზღვევის შეთავაზებების მეშვეობით მომხმარებელთა დამატებითი ჩართულობა უზრუნველყო. ჩვენ ასევე დავენერგეთ ქონების დაზღვევის შეძენის შესაძლებლობა უშუალოდ მობილური აპლიკაციის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს შესყიდვის სრულად ციფრულ, შეუფერხებელ მთლიან პროცესს. საერთო ჯამში, გაზრდილი ციფრული ჩართულობა კვლავაც ხელს უწყობს მომხმარებელთა შენარჩუნებას და პლატფორმის გამოყენების ზრდას.

სხვა პროექტები

მობილური ბანკინგის ინტეგრაცია

ჩვენ დავენერგეთ სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტი „თიბისი ბანკის“ მობილურ ბანკინგში, რომელიც VISA-სა და „თიბისი ბანკის“ პარტნიორობით შემუშავდა სამოგზაურო ბარათების მფლობელებისთვის,

რითაც უფრო მეტად მოვიცავით ეკოსისტემის არხები და მოვახდინეთ დაზღვევის ინტეგრაცია ყოველდღიურ საბანკო პროცესებში.

გაყიდვების CRM

გაყიდვების CRM ქმნის ციფრულ სამუშაო სივრცეს ბანკირებისთვის, რაც უზრუნველყოფს ავტოდაზღვევის მთავარ პროდუქტებზე სრულად ინტეგრირებულ, თავიდან ბოლომდე ციფრულ გაყიდვების პროცესებს. ავტოდაზღვევის მთავარი პროდუქტები იმართება უწყვეტი ციფრული პროცესის მეშვეობით. შედეგად, 2025 წლის დეკემბრისთვის საბანკო დაზღვევის გაყიდვების 98% განხორციელდა CRM-ის მეშვეობით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ხელით შრომას და უზრუნველყოფს გაყიდვების უფრო სწრაფ, ეფექტიან და გამჭვირვალე განხორციელებას.


ვებპლატფორმის ტრანსფორმაცია – TBCi.ge

ახალი TBCi.ge პლატფორმა 2025 წლის დეკემბერში დაინერგა. იგი უზრუნველყოფს ფუნქციისა და დიზაინის მხრივ სრულ განახლებას და განამტკიცებს ციფრული გაყიდვების შესაძლებლობებს.

4. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2024 წელს დაფიქსირებული ტენდენციის შემდეგ, 2025 წელი გამოირჩეოდა მძაფრი კონკურენციით მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) და კორპორაციულ ბაზარზე. ამის მიუხედავად, ჩვენ მოვახერხეთ ბაზარზე არაერთი წამყვანი კომპანიის დაზღვევა როგორც ჯანმრთელობის, ისე არაჯანმრთელობის დაზღვევის სეგმენტებში. მათ შორის არიან მასპინძლობის, დისტრიბუციის, საცალო ვაჭრობის, მომსახურების, ტექნოლოგიებისა და სხვა სფეროებში მოქმედი მულტინაციონალური და ადგილობრივი კომპანიები.

ჩვენი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების წლიური დინამიკა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე:



* CAGR– დაგროვებითი წლიური ზრდის ტემპი

[თანხები მლნ ლარში; საბაზრო წილი მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევისა და ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულებების გამოკლებით]

5. გენერალური დირექტორის მიმართვა

მიმოხილვა

2025 წელი თიბისი დაზღვევისთვის უაღრესად წარმატებული იყო. მივალწიეთ მოგებისა და გადახდისუნარიანობის რეკორდულ მაჩვენებლებს, რაც განპირობებულია ბალანსის მძლავრი ზრდით, ასევე ჩვენი ციფრული არხების მასშტაბის გაფართოებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობდა გეოპოლიტიკური და სხვა გამოწვევები, მაკროგარემო დადებითი დარჩა მთელი წლის განმავლობაში, მშპ-ის 7.5%-იან ზრდასთან ერთად, რაც განპირობებულია ტურიზმიდან მიღებული ძლიერი შემოსავლებითა და კრედიტის რეალური ზრდით. ჩვენს მთავარ პრიორიტეტად კვლავ ჩვენი თანამშრომლები და მომხმარებლები რჩებიან.

მთავარი მიღწევები

ჩვენ მოვახერხეთ საბაზრო პოზიციის შენარჩუნება და 2025 წლის ბოლოსთვის. 36.6%-იანი და 21.4%-იანი საბაზრო წილებით, „თიბისი დაზღვევა“, შესაბამისად, დაიკავა პირველი ადგილი არაჯანმრთელობის საცალო ბაზარზე და მთლიან არასახელმწიფო დაზღვევის ბაზარზე, ხოლო 25.5%-იანი საბაზრო წილით — მეორე ადგილი მთლიან არაჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარზე. დამატებით, **18.8%-იანი საბაზრო წილით ჩვენ მივალწიეთ პირველ ადგილს მთლიან სადაზღვევო ბაზარზე.**

ჩვენი კორპორაციული ჯანმრთელობის დაზღვევის კლიენტთა ბაზა, წინა წელთან შედარებით, 5,000-ით დაზღვეულით გაიზარდა და 2025 წლის ბოლოსთვის, დაზღვეულთა რაოდენობამ 68,000-ს გადააჭარბა, რაც აღსანიშნავია კორპორაციული ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზრის გაჯერებულობის მაღალი დონის გათვალისწინებით.

ჩვენი ციფრული სტრატეგია არაჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულებით უფრო აქტუალური აღმოჩნდა, ვიდრე ოდესმე. 2025 წელს ციფრულმა გაყიდვებმა 1.03 მილიონ ლარს გადააჭარბა, ამავდროულად, ჩვენი აპლიკაციის მომხმარებელი დამზღვევების რაოდენობა გაიზარდა 33%-ით.

თანამშრომლებისთვის შექმნილი ღირებულება

„თიბისი დაზღვევაში“ გვჯერა, რომ წარმატება იწყება ჩვენი გუნდით. მუდმივად წარვადგენთ ახალ ინიციატივებს ჩვენი თანამშრომლების შთაგონებისა და მოტივაციისთვის, რათა მათ, თავიანთი ფუნქციების შესრულებისას, იგრძნონ დაფასება და მხარდაჭერა.

ჩვენ ვამაყობთ, რომ ლიდერები ვართ ბაზარზე, თანამშრომლების ვთავაზობთ განსაკუთრებულ სარგებელს, რაც ამ სფეროში სხვებისგან გამოგვარჩევს.

ჩვენი გუნდისადმი ჩვენი ერთგულება სცილდება სარგებლის მიღების ფარგლებს; ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ ტრენინგებსა და განვითარებას, ვახორციელებთ ინვესტირებას პროგრამებში, რომლებიც განამტკიცებენ უნარებს და ხელს უწყობენ გრძელვადიან კარიერულ ზრდას. პროფესიული განვითარების შესაძლებლობების მიწოდებით, ჩვენ უზრუნველვყოფთ ჩვენი თანამშრომლების საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვას, რათა მათ მიაღწიონ წარმატებას და ასევე, გახდნენ ლიდერები თავიანთი ფუნქციების შესრულებისას.

კლიენტებისა და საზოგადოებისთვის შექმნილი ღირებულება

ჩვენ გარშემო მსოფლიო სწრაფი ტემპით განიცდის ცვლილებას, შესაბამისად იცვლება ჩვენი კლიენტების მოლოდინები, ამიტომ ამ ცვლილებებს ფეხი უნდა ავუწყოთ.

ჩვენ გავაუმჯობესეთ სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტი, გავაუქმეთ ასაკობრივი შეზღუდვა, ასევე წარვადგინეთ სადაზღვევო დაფარვა ისეთი გადაუდებელი შემთხვევებისთვის, რომლებიც გამოწვეულია ქრონიკული თუ დაზღვევამდე არსებული დაავადებების შედეგად, რაც ერთ-ერთ საუკეთესო შეთავაზებას წარმოადგენს ქართულ ბაზარზე.

ჩვენ გვეამაყება, რომ ჯანმრთელობის და ავტოდაზღვევის მომხმარებლებს გამორჩეულ მომსახურებას ვთავაზობთ, რაზეც მეტყველებს მომხმარებლის ლოიალურობის 60%-იანი¹ და 72%-იანი ინდექსები, შესაბამისად.

დადებითი შედეგის მოსახდენად, ჩვენ შევქმენით გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) სტრატეგია, რომელიც ემსახურება ჩვენ მიერ გრძელვადიანი წვლილის შეტანას ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. ჩვენი მიზანია უზრუნველვყოთ ჩვენი საქმიანობის, თანამშრომლების, მომწოდებლებისა და ფართო საზოგადოების მდგრადობა. ჩვენი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრატეგია შემდეგ ძირითად საკითხებს ეხება: პროდუქტებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, დივერსიფიცირებული სამუშაო ძალა, თანასწორობა და ჩართულობა, მდგრადი და „მწვანე“ სადაზღვევო პორტფელი და ამ გავლენების შეფასების სისტემა.

¹ მომხმარებლის ლოიალურობის ინდექსი 2025 წლის დეკემბერში შეაფასა დამოუკიდებელმა კვლევითმა და საკონსულტაციო ფირმამ.

ინვესტორებისთვის შექმნილი ღირებულება

„თიბისი დაზღვევა“ ზრუნავს თავის მფლობელთა ღირებულების მაქსიმიზაციაზე. 2025 წელს ჩვენმა წმინდა მოგებამ 41.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 53.2%-ით მაღალი წლიური მაჩვენებელია. ჩვენს აქციონერს 20 მილიონი ლარის დივიდენდები გავუნაწილეთ.

ჩვენი ფინანსური სიმტკიცე და სტაბილურობა გამოხატულია გადახდისუნარიანობის და კომბინირებული კოეფიციენტებით, რომლებიც, შესაბამისად, 232.02%-სა და 85.6%-ს შეადგენს.

პროგნოზი

ეკონომიკაზე პანდემიის გავლენის შემდეგ, არსებობს პოლიტიკური დამაბულობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. ამის გამო გვიხდება შემდგომი ნაბიჯების საგულდაგულოდ აწონ-დაწონა, რათა დავიცვათ ბალანსი ეკონომიკის მერყეობასა და ჩვენს ამბიციურ მიზნებს შორის.

ჩვენი თავდაუზოგავი შრომა ჩვენი ბიზნესმიზნების მისაღწევად, ჩვენი თანამშრომლებისა და მომხმარებლების კეთილდღეობისთვის, ჩვენი მუდმივი ინვესტიცია ციფრულ განვითარებაში და ჩვენი მტკიცე ფინანსური დისციპლინა საფუძველს მამლევს დაბეჯითებით განვაცხადო, რომ „თიბისი დაზღვევა“ გაუძლებს ქართველებს და უახლოეს მომავალში მოგვევლინება მდგრად, ინოვაციურ კომპანიად რეგიონის სადაზღვევო სექტორში.

დავით კილურაძე

გენერალური დირექტორი

6. რისკის მართვა

სამეთვალყურეო საბჭო, ჯგუფის ხელმძღვანელობასთან ერთად, პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვის სისტემის დანერგვასა და ზედამხედველობაზე, ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებასა და მონიტორინგზე და მფლობელების წინაშე თავისი საქმიანობის რეგულარული ანგარიშების უზრუნველყოფაზე.

ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისთვის, რომ მოხდეს ჯგუფის წინაშე მდგარი რისკების გამოვლენა და გაანალიზება, რისკის სათანადო ლიმიტების დაწესება და კონტროლის მექანიზმების შემუშავება, ასევე რისკებისა და მათი ლიმიტების დაცვის ზედამხედველობა. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, რომ მასში აისახოს საბაზრო პირობებში და

ჯგუფის საქმიანობა. ჯგუფი, თავისი ტრენინგებით, მართვის სტანდარტებით და პროცედურებით, მიზნად ისახავს, შექმნას დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელშიც თანამშრომლებს კარგად აქვთ გააზრებული თავიანთი ფუნქციები და პასუხისმგებლობა.

სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას უწევს შესაბამისობას ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან და ამოწმებს რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობას ჯგუფის წინაშე მდგარი რისკებისთვის.

სადაზღვევო საქმიანობის ხასიათის გათვალისწინებით, სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია რისკის მართვის ქმედითი ფუნქციის ჩამოყალიბება.

რისკის ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად, „თიბისი დაზღვევამ“ შეიმუშავა და დანერგა რისკის მართვის საერთო სისტემა, რომელიც მოიცავს ყველა ტიპის რისკს, როგორცაა ფინანსური რისკი, საოპერაციო რისკი, საინფორმაციო უსაფრთხოება, კიბერშეტევების რისკი, კანონშესაბამისობისა და საკანონმდებლო ცვლილებების რისკი.

რისკის მართვის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია რისკის დასაშვები დონის (ე.წ. „რისკის აპეტიტის“) მართვა, რაც მოიცავს ფინანსური და არაფინანსური რისკის კოეფიციენტებს. „რისკის აპეტიტის ჩარჩოს“ (RAF) მიზანია ისეთი მტკიცე საოპერაციო გარემოს შექმნა, სადაც „თიბისი დაზღვევის“ წინაშე მდგარი ყველა არსებითი რისკი და რისკიანი საქმიანობა, რომლებიც სცდება კომპანიის რისკის აპეტიტს, გამოვლინდეს, აღირიცხოს და დროულად იმართოს. „რისკის აპეტიტის ჩარჩო“ განსაზღვრავს რისკის იმ დონეს, რომლის ასაღებად კომპანია მზადაა, უკუგების მიღებისა და ღირებულების შექმნის მიზნით. იგი ასევე მკაფიოდ განმარტავს რისკის იმ ტიპებს, რომელთა თავიდან არიდებაც სასურველია. „რისკის აპეტიტის ჩარჩო“ ყოველწლიურად ახლდება. ბოლოს ის 2026 წლის მარტში განახლდა.

ინფორმაციისა და კიბერუსაფრთხოების საქმიანობა მოიცავს პოლიტიკის მუდმივად განახლებას და ისეთი ახალი ინსტრუმენტების დანერგვას, როგორცაა DLP, ანტივირუსული პროგრამა, EDR, SIEM, NG ფაიერვოლი, და მოწყვლადობის სკანერი.

რისკის მართვა ასევე მოიცავს საოპერაციო რისკის მართვის მუდმივ საქმიანობას, როგორცაა რისკის და კონტროლის თვითშეფასება (RCSA), ინციდენტების მართვა, მთავარი რისკების ინდიკატორები (KRI), მომწოდებლის რისკის შეფასება, თაღლითობის რისკის შეფასება და ა.შ.

„თიბისი დაზღვევა“ ახორციელებს იმ ფიზიკური და იურიდიული პირების პოტენციური ზარალების შეფასებას, რომლებიც დაზღვეულები არიან ჯანმრთელობის, სიცოცხლის, უბედური შემთხვევის და ქონების და სიცოცხლის სხვა რისკებისგან დაზღვევის ხელშეკრულებებით. კერძოდ, „თიბისი დაზღვევა“ წინასწარ ვერ განსაზღვრავს ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის

დადგომის დროსა და მოცულობას. ამასთან დაკავშირებული მთავარი რისკი ისაა, რომ ზარალის სიხშირე და მოცულობა შეიძლება მოსალოდნელზე მაღალი აღმოჩნდეს. სადაზღვევო შემთხვევებს მოულოდნელობა ახასიათებს და წლის განმავლობაში მათი რეალური სიხშირე და მოცულობა, შესაძლოა, სტატისტიკური მოდელებით მიღებული პროგნოზებისგან განსხვავდებოდეს. „თიბისი დაზღვევას“ ასევე აქვს საბაზრო რისკი თავისი სადაზღვევო და საინვესტიციო საქმიანობის გამო.

„თიბისი დაზღვევა“ რისკებს მართავს, პირველ რიგში, სათანადო ანდერაიტინგის მეშვეობით, მეორეც, გადაზღვევის მეშვეობით რისკის გადაცემით. „თიბისი დაზღვევა“ ყიდულობს გადაზღვევის პაკეტებს თავისი საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებისთვის: ავტო, სიცოცხლის, ქონების, ტვირთის, პასუხისმგებლობის და გარანტიის დაზღვევისთვის.

„თიბისი დაზღვევის“ ხელმძღვანელობა ყოველთვიურად გადახედავს საწარმოს საკრედიტო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკებს: =

1. საკრედიტო რისკი არის იმის ალბათობა, რომ კონტრაქტმა ვერ შეძლოს გადახდა მოთხოვნის მიღებისთანავე ან რომ გადამზღვეველმა კომპანიამ ვერ შეძლოს ზარალებში თავისი წილის ანაზღაურება. ჯგუფი გარკვეულ საკრედიტო რისკებს გადააზღვევს გადამზღვეველ კომპანიებში. გადამზღვეველი კომპანიების შერჩევა მკაცრად ხდება მათი გადახდისუნარიანობის, საიმედოობისა და კრედიტუნარიანობის კრიტერიუმების საფუძველზე.
2. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფულადი სახსრების მოზიდვა თავისი ვალდებულებების შესასრულებლად. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. მაღალი გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდობის მაჩვენებლები (შესაბამისად, 232.02% და 134.5%) იმაზე მიუთითებს, რომ „თიბისი დაზღვევას“ აქვს ხანგრძლივი ეკონომიკური რეცესიების გადატანის უნარი. ეს პოზიცია კიდევ უფრო გამყარებულია იმ ფაქტით, რომ „თიბისი დაზღვევას“ არ აქვს სესხები ფინანსური დაწესებულებებისგან.¹


¹გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდობის კოეფიციენტები გამოითვლება საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად.

7. ჩვენი გუნდი

„თიბისი დაზღვევაში“ ჩვენ დიდი სიამაყით ვასაქმებთ ნიჭიერ და მაღალკვალიფიციურ თანამშრომლებს, რომლებიც ჩვენი უწყვეტი წარმატების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. 2025 წლის ბოლოსთვის ჩვენი გუნდი 478 თანამშრომლისგან შედგებოდა, რაც 26%-იან ზრდას ნიშნავს.

2025 წელს კომპანიაში დაფიქსირდა 77 პოზიციის ცვლილება, მათ შორის 70 დაწინაურება. ეს ხაზს უსვამს იმას, თუ რამდენად დიდ ყურადღებას ვაქცევთ შიდა კარიერული ზრდას, რათა ჩვენს თანამშრომლებს ჰქონდეთ ფართო შესაძლებლობები ორგანიზაციის ფარგლებში წინსვლისთვის და თავიანთი სრული პოტენციალის რეალიზებისთვის.

როგორც თანაბარი შესაძლებლობების მიმცემი დამსაქმებელი, „თიბისი დაზღვევა“ აფასებს მრავალფეროვნებასა და ინკლუზიურობას. ჩვენ უზრუნველვყოფთ იმას, რომ ყველა ჩვენს თანამშრომელს, რასის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, სქესის, ასაკის ან შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად, ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისა და



წარმატებისთვის. გენდერული თანასწორობა ჩვენთვის კვლავ პრიორიტეტად რჩება და სიამოვნებით ვაცხადებთ, რომ 2025 წლის ბოლოსთვის ქალები ჩვენი თანამშრომლების 66%-ს შეადგენდნენ.

2025 წელს ჩვენ მივაღწიეთ 84%-იან ჩართულობის ინდექსსა და 65%-იან ENPS-ს, რაც მეტყველებს თანამშრომელთა მაღალ კმაყოფილებაზე და ერთგულებაზე. ჩვენი დასაქმებულების დენადობის მაჩვენებელი 17% იყო, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება დარგის საშუალო დონეს (20–25%), რაც მიუთითებს იმაზე, თუ რა დიდ ძალისხმევას ვდებთ თანამშრომელთა შენარჩუნებაში და რამდენად სტაბილურ, მხარდამჭერ სამუშაო გარემოს ვუქმნით ჩვენთან დასაქმებულებს.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი თანამშრომლები ჩვენი მიღწევების უმთავრესი საფუძველია, და ამიტომ ვზრუნავთ მათთვის კონკურენტული ანაზღაურების პაკეტების, უწყვეტი პროფესიული განვითარების და პოზიტიური სამუშაო გარემოს უზრუნველყოფაზე.

თანამშრომელთა ინფორმირებულობის უზრუნველყოფა ჩვენი კორპორაციული კულტურის ერთ-ერთი ქვაკუთხედი, ამიტომ „თიბისი ჯგუფის“ შესახებ ბოლო სიახლეებისა და მოვლენებს მათ რეგულარულად ვაცნობებთ.

კორპორაციული მმართველობა

„თიბისი დაზღვევა“ არის ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტში განთავსებული საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ შვილობილი კომპანია (შემდგომში, ერთობლივად „ჯგუფი“). ჯგუფი აკმაყოფილებს დიდი ბრიტანეთის კორპორაციული მართვის კოდექსით გათვალისწინებულ მართვის უმაღლეს სტანდარტებს.

„თიბისი დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭო (შემდგომში „საბჭო“) შედგება ექვსი წევრისგან, რომლებიც ერთობლივად არიან პასუხისმგებელნი კომპანიის გრძელვადიან წარმატებაზე და მფლობელებისთვის მდგრადი ღირებულების შექმნაზე კომპანიის სტრატეგიის დასახვისა და მისი განხორციელების ზედამხედველობით. სამეთვალყურეო საბჭო არის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო კომპანიისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხზე. სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს და ამტკიცებს ისეთ საკითხებს, როგორცაა კომპანიის სტრატეგია, გრძელვადიანი მიზნები, რისკის დასაშვები დონე, წლიური საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების ბიუჯეტები, კომპანიის კაპიტალში ცვლილებები, შესყიდვის და/ან შერწყმის მსხვილი ოპერაციები, წლიური ანგარიშგება და ანგარიშები.

8. სამეთვალყურეო საბჭო

ვახტანგ ბუცხრიკიძე

თავმჯდომარე

ვახტანგს 31 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს საბანკო და ფინანსურ სფეროში. ჯგუფს ხელმძღვანელობს საქართველოში დაარსებიდან (1992), დაწყებული სტარტაპიდან დღემდე, როგორც ფინანსური ტექნოლოგიების წამყვან ინსტიტუტს. 1993 წელს, „თიბისი ბანკს“ შემოუერთდა უფროსი მენეჯერის თანამდებობაზე და 1996 წელს გახდა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. 1998 წლიდან იკავებს სს „თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორის თანამდებობას და 2016 წელს დაინიშნა სს „თიბისი დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.

ვახტანგი მოწინავე ბანკირია კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში. ფლობს პრესტიჟულ ჯილდოებს, მათ შორისაა: 2011 წლის საუკეთესო ბანკირის ჯილდო სუამ-ის დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციისგან, 2014 წლის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს საუკეთესო გენერალური დირექტორის ჯილდო ჟურნალ EMEA Finance-გან. 2019 წლის მარტში მიენიჭა სპეციალური ჯილდო Responsible Capitalism in Adversity („პასუხისმგებლობიანი კაპიტალიზმი

გამოწვევების დროს“) პრესტიჟული ორგანიზაციისგან FIRST (მულტიდისციპლინური საერთაშორისო ურთიერთობების ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს გააძლიეროს დიალოგი მრეწველობის, ფინანსებისა და მთავრობის ლიდერებს შორის).

თორნიკე გოგიჩაიშვილი

საბჭოს წევრი

თორნიკე თიბისის გუნდს 2018 წელს, ოპერაციების მართვის დირექტორად და გენერალური დირექტორის მოადგილედ შეუერთდა. მას ფინანსური სერვისებისა და ოპერაციების მართვის სფეროში 21-წლიანი გამოცდილება აქვს.

2016 წელს თიბისის გუნდში მოსვლამდე თორნიკე „საქართველოს ბანკში“ გენერალური დირექტორის მოადგილედ და ოპერაციების მართვის დირექტორად მუშაობდა. 2010-2016 წლებში თორნიკე „საქართველოს ბანკის“ ოპერაციების დეპარტამენტის დირექტორის პოზიციას იკავებდა. ის ასევე იყო საერთაშორისო ბანკინგის ხელმძღვანელი საქართველოს ბანკის ჯგუფში. 2006-2008 წლებში, თორნიკე სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ გენერალური დირექტორის პოზიციას იკავებდა. ის ასევე მუშაობდა UEDC PA consulting-ში ფინანსურ დირექტორად და 1998-2004 წლებში იკავებდა სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციას BCI Insurance Company-ში.

თორნიკე გოგიჩაიშვილს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი და ფლობს კავკასიის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრისა და ოქსფორდის ბიზნესის სკოლის (Executive Diploma) ხარისხს სტრატეგიის და ინოვაციების მიმართულებით.

2026 წლისთვის თორნიკე გოგიჩაიშვილი აღარ არის საბჭოს წევრი. 2026 წელს საბჭოს ახალ წევრებად დაინიშნენ ნათია პაჭიკაშვილი და ნატო ხურციძე.

გიორგი თხელიძე

საბჭოს წევრი

გიორგი თხელიძე 2014 წელს ჯგუფს შეუერთდა ბარკლის საინვესტიციო ბანკიდან, სადაც ის 2011 წლის ივნისიდან იყო ევროპის, შუა აზიის და აფრიკის რეგიონის ფინანსური ინსტიტუტების ჯგუფის ვიცეპრეზიდენტი. უფრო ადრე კი, 2009 წლის სექტემბრიდან, იყო ბარკლის სასესხო დაფინანსების და რესტრუქტურირების ჯგუფების ასოცირებული დირექტორი. ბარკლიში, ლონდონში თავისი კარიერის მანძილზე, მუშაობდა და წარმატებით განახორციელა არაერთი მიერთებისა და შერწყმის ოპერაცია, ასევე სასესხო და კაპიტალის ბაზრის ტრანზაქციები ევროპის ფინანსურ ინსტიტუტებთან.

კარიერის დასაწყისში სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობა ეკავა სადაზღვევო კომპანია „აღდაგში“ და ამ კომპანიის გენერალური დირექტორიც გახლდათ.

2009 წელს ლონდონის ბიზნესის სკოლაში მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA) ხარისხი. ასევე ფლობს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საერთაშორისო კომერციული სამართლის მაგისტრის ხარისხს (2002 წ.) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის ხარისხს (2000 წ.).

პაატა ღამაძე

საბჭოს წევრი

პაატა ღამაძე „თიბისი ჯგუფს“ 1994 წლიდან შეუერთდა. საკრედიტო დეპარტამენტის ხელმძღვანელობიდან მალევე, ის დაინიშნა „თიბისი ბანკის“ დირექტორის მოადგილედ, საბჭოს კი 1996 წელს შეუერთდა. როგორც დირექტორი, სანამ გადაიბარებდა ადამიანური რესურსების და საერთაშორისო საკუთრების მართვის სადავეებს, ის 1996-2011 წლებში პასუხისმგებელი იყო რისკის მართვასა და ინფორმაციული სისტემების მართვაზე. იმავე წელს, ის შეუერთდა „თიბისი ლიზინგის“ და „თიბისი ინვესტის“ საბჭოებს. 2016 წლიდან, პაატა ღამაძე იკავებდა „თიბისი დაზღვევის“ გენერალური დირექტორის თანამდებობას. ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2024 წელს გახდა.

ბ-ნი პაატა ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის ('90) და მაგისტრის ('92) ხარისხებს ეკონომიკაში და მაგისტრის ხარისხს მაკროეკონომიკაში ('94).

ნანა გობაძე

დამოუკიდებელი წევრი

ნანა სს „თიბისი ბანკს“ შეუერთდა 2009 წელს, როგორც კორპორაციული საბანკო დეპარტამენტის საკრედიტო ანალიტიკოსი. მოგვიანებით გახდა მენეჯერი კორპორაციული დავალიანებების ამოღების დეპარტამენტში და კვების მრეწველობის სექტორის ხელმძღვანელი კორპორაციულ და საინვესტიციო ბანკინგში. საბანკო სფეროში მოღვაწეობის ათწლიანი კარიერის განმავლობაში მუშაობდა კორპორაციული კლიენტებისთვის ფინანსური გადაწყვეტილებების მიწოდებაზე, მიერთებისა და შერწყმის ოპერაციების მართვაზე, უძღვებოდა რესტრუქტურისაციის სტრატეგიებს და კვების მრეწველობაში ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობების დამყარების პროცესს.

2021 წელს ნანა შეუერთდა PepsiCo-ს, როგორც სამხრეთ-დასავლეთ ევროპის წმინდა შემოსავლების მართვის დეპარტამენტის ტრანსფორმირების მენეჯერი და მოგვიანებით გადავიდა ევროპის სასმელების კატეგორიის ფინანსური მენეჯერის პოზიციაზე, სადაც უძღვებოდა სტრატეგიული დაგეგმვისა და ზრდის ინიციატივებს მოცემული კატეგორიისათვის. ამჟამად ხელმძღვანელობს „იბერიას“ ფინანსური დაგეგმვისა და ანალიზის დეპარტამენტს.

ნანა ფლობს IESE ბიზნეს სკოლის (Financial Times-ის მიხედვით #3 სკოლა მსოფლიოში) ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის (ESM-თბილისი) ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს.

9. დირექტორთა საბჭო

დავით კილურაძე

გენერალური დირექტორი

დავით კილურაძე სს „თიბისი დაზღვევის“ გენერალურ დირექტორად დაინიშნა 2024 წელს. 2016 წლიდან იგი გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

დავითს ფინანსურ სექტორში 24-წლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს. სანამ „თიბისი ჯგუფს“ შეუერთდებოდა, იგი სხვადასხვა თანამდებობას იკავებდა, მათ შორის ხელმძღვანელ პოზიციებს დაზღვევის სფეროში. 2006 წლიდან დავითი შეუერთდა თიბისის გუნდს და წლების განმავლობაში იკავებდა სს „თიბისი ბანკის“ სახაზინო და ფინანსური დეპარტამენტის უფროსის, „თიბისი კრედიტის“ გენერალური დირექტორისა და „თიბისი ფეის“ გენერალური დირექტორის თანამდებობებს.

დავითი ფლობს თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის ბაკალავრის ხარისხს და IEDC – ბლედის მართვის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს.

ნიკოლაი კობზევი

ოპერაციების დირექტორი

ნიკოლაი კობზევი სს „თიბისი დაზღვევის“ გუნდს შეუერთდა 2017 წელს და უკავია ოპერაციებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დირექტორის თანამდებობა.

ნიკოლაი კობზევა სს „ჯიპიაი ჰოლდინგში“ მუშაობა 2003 წელს დაიწყო. 2012 წელს დაინიშნა ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსად. 2013 წელს გახდა ამერიკული კომპანია ELI Lilly-ის პროექტების მენეჯერი. 2015 წელს შეუერთდა The Boston Consulting Group-ს, სადაც იკავებდა კონსულტანტის თანამდებობას.

ნიკოლაი კობზევი ფლობს კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს (2011). 2013-ში მიიღო ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი.

ცოტნე ებრალიძე

კორპორაციული ბიზნესის დირექტორი

ცოტნე ებრალიძე 2025 წლის დეკემბერში შეუერთდა სს „თიბისი დაზღვევას“ კორპორაციული ბიზნესის დირექტორის პოზიციაზე. მას აქვს 24 წელზე მეტი ხნის გამოცდილება ფინანსური მომსახურების, კონსალტინგისა და უძრავი ქონების სექტორებში ხელმძღვანელ პოზიციებზე მუშაობის მიმართულებით, რაც მოიცავს მნიშვნელოვან ექსპერტიზას კორპორაციულ სტრატეგიაში, ინვესტიციების მართვასა და ბიზნესის განვითარებაში.

„თიბისი დაზღვევაში“ მოსვლამდე, ბატონმა ცოტნემ 11 წელი გაატარა საქართველოს თანაინვესტირების ფონდში (GCF), სადაც ექვსი წლის განმავლობაში მასპინძლობისა და უძრავი ქონების მიმართულების მმართველი დირექტორის პოზიციას იკავებდა, შემდეგ კი ხუთი წლის განმავლობაში გენერალური დირექტორის (CEO) თანამდებობაზე მუშაობდა.

თავისი კარიერის ადრეულ ეტაპზე იგი „თიბისი ბანკში“ იკავებდა კორპორაციული საბანკო საქმიანობის დირექტორის მოადგილის თანამდებობას. 2005–2010 წლებში მას ეკავა იმ დროისთვის საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი დეველოპერული კომპანიის – „არსის“ გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობა. მან პროფესიული კარიერა დაიწყო „სინერჯი ჯგუფში“, მმართველობით საკონსულტაციო კომპანიაში, კონსულტანტის პოზიციაზე.

ბატონ ცოტნეს მიღებული აქვს ლონდონის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი (MBA) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი.

ნიკოლოზ საყვარელიძე

ფინანსური დირექტორი

ნიკოლოზი შეუერთდა „თიბისი დაზღვევას“ და დაიკავა ფინანსური დირექტორის თანამდებობა 2023 წლის აპრილში. ის მართავს ფინანსურ, შესყიდვების, ადმინისტრაციულ, მონაცემთა დამუშავების და აქტუარულ პროცესებს.

ნიკოლოზ საყვარელიძე იყო საწარმოს რესურსების დაგეგმვისა და სისტემური აპლიკაციებისა და პროდუქტების გუნდის ხელმძღვანელი შპს „კავკასუს ონლაინში“ 2011-2013 წლებში. 2009-2015 და 2013-2015 წლებში იყო ფინანსური ანალიტიკოსი, ხოლო მოგვიანებით ეკავა ფინანსური განყოფილების უფროსის თანამდებობა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“, სადაც აკონტროლებდა დაახლოებით 100 მილიონი ლარის ბიუჯეტს და მართავდა კომპანიის ლიკვიდურობას და გადახდისუნარიანობას. 2012-2020 წლებიდან მუშაობდა Marine Resources Exploration Internation BV-ში რეგიონულ დირექტორად. „თიბისი დაზღვევაში“ გადასვლამდე, 2015 წლიდან იკავებდა შპს „გალერია თბილისის“ ფინანსური დირექტორის თანამდებობას.

2009 წელს, ნიკოლოზმა გრინელის კოლეჯის ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი მიიღო. მან წარმატებით ჩააბარა დიპლომირებულ ფინანსურ ანალიტიკოსთა (CFA) I და II დონის გამოცდები. ამჟამად ის ირიცხება და განათლებას იღებს IEDC Bled-ის მართვის სკოლაში, საერთაშორისო აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში.

ნიკოლოზ ბრეგვაძე

ციფრული და ბიზნესის განვითარების მიმართულების დირექტორი

ნიკოლოზ ბრეგვაძე 2024 წლიდან ხელმძღვანელობს კომპანიის ციფრული ტრანსფორმაციისა და ბიზნესის სტრატეგიული განვითარების საკითხებს. 2019 წლიდან ის პასუხისმგებელია კომპანიის ციფრული გაყიდვებისა და მარკეტინგის, სტრატეგიული პროექტების და UX & UI დიზაინის მიმართულებებზე.

ნიკოლოზ ბრეგვაძეს 15 წელზე მეტი ხნის სამუშაო გამოცდილება აქვს საფინანსო და საჯარო სექტორში. თიბისი დაზღვევამდე იგი მუშაობდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის პირველ მოადგილედ. ამ თანამდებობაზე მან მონაწილეობა მიიღო ისეთ პროექტებში, როგორებიც არის: ევროსტანდარტებთან შესაბამისობის რეგულაციების შემუშავება, სხვადასხვა სექტორის მარეგულირებლებთან ურთიერთობის და თანამშრომლობის დამყარება, კერძო და საჯარო სექტორის ორგანიზაციების აუდიტი და მათი ბიზნესპროცესების ოპტიმიზაციისათვის

შემდგომი რეკომენდაციების გაცემა, არსებულ რეგულაციებთან შესაბამისობა და ა.შ. კარიერის დასაწყისში, 2008 წლიდან მუშაობდა სს „თიბისი ბანკში“ იურისტად, სადაც სამართლებრივი თვალსაზრისით აქტიურად მონაწილეობდა ბანკისა და მისი შვილობილი კომპანიების სხვადასხვა ციფრული პლატფორმების შემუშავებასა და დანერგვასთან დაკავშირებულ პროექტებში.

ბატონი ნიკოლოზი ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურისტის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხებს (2002-2007) და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს (2017-2019).

დავით ჭრიკიშვილი

სს „თიბისი დაზღვევის“ რისკების დირექტორი

დავით ჭრიკიშვილი სს „თიბისი დაზღვევაში“ რისკების დირექტორის პოზიციას 2024 წლიდან იკავებს. იგი დაზღვევის გუნდს 2019 წელს შემოუერთდა იურიდიული დეპარტამენტის უფროსის პოზიციაზე. მალევე მისი სამუშაო სფერო გაფართოვდა და დავით ჭრიკიშვილი იურიდიული, ფინანსური მონიტორინგისა და შესაბამისობის დეპარტამენტის უფროსი გახდა.

სანამ „თიბისი დაზღვევას“ შემოუერთდებოდა, 2012 წლიდან ბატონი დავითი იკავებდა სს „თიბისი ბანკის“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იურისტის თანამდებობას, ხოლო დაწინაურების შემდეგ, ის შესაბამისობის და იურიდიული რისკების უფროსი ოფიცერი გახდა.

დავით ჭრიკიშვილი ფლობს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის ხარისხს. 2023 წელს ჩააბარა და სწავლას აგრძელებს თავისუფალი უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამაზე ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.

ივანე კახაძე

საცალო, მცირე და მიკრო ბიზნესის მიმართულების დირექტორი

ივანე კახაძე „თიბისი დაზღვევის“ გუნდში დაარსების დღიდან მუშაობს, მას აქვს 18-წლიანი გამოცდილება დაზღვევის სფეროში. კარიერის დასაწყისში, 2007-2014 წლებიდან, ივანე კახაძე მუშაობდა სადაზღვევო კომპანია „ალდაგში“ სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე, მათ შორის სააგენტოს ქსელის ხელმძღვანელისა და სახელმწიფო პროექტების დეპარტამენტის უფროსის პოზიციებზე.

2014-2016 წლებში, ივანე კახაძე სადაზღვევო კომპანია Kopenbur-ში იყო გაყიდვებისა და განვითარების დირექტორი, გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2016 წლიდან ივანე კახაძე გახდა „თიბისი დაზღვევის“ საცალო და ალტერნატიული გაყიდვების უფროსი. მისი ხელმძღვანელობით 2018 წლიდან კომპანია სადაზღვევო საცალო ბაზარზე უცვლელად იკავებს ლიდერის პოზიციებს. 2024 წლიდან ივანე კახაძეს უკავია საცალო, მცირე და მიკრო ბიზნესის დირექტორის თანამდებობა.

ივანე კახაძე ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტის ბაკალავრის ხარისხს.

დავით კილურაძე


გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ საყვარელიძე

ფინანსური დირექტორი


2014-2016 წლებში, ივანე კახაძე სადაზღვევო კომპანია Kopenbur-ში იყო გაყიდვებისა და განვითარების დირექტორი, გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2016 წლიდან ივანე კახაძე გახდა „თიბისი დაზღვევის“ საცალო და ალტერნატიული გაყიდვების უფროსი. მისი ხელმძღვანელობით 2018 წლიდან კომპანია სადაზღვევო საცალო ბაზარზე უცვლელად იკავებს ლიდერის პოზიციებს. 2024 წლიდან ივანე კახაძეს უკავია საცალო, მცირე და მიკრო ბიზნესის დირექტორის თანამდებობა.

ივანე კახაძე ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტის ბაკალავრის ხარისხს.



დავით კილურაძე

გენერალური დირექტორი



ნიკოლოზ საყვარელიძე

ფინანსური დირექტორი

სს „თიბისი დაზღვევა“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

31 დეკემბერი, 2025 წ.

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება	

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

1	ჯგუფი და მისი საქმიანობა	9
2	ჯგუფის საოპერაციო გარემო	9
3	მომზადების საფუძველი	10
4	შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება	11
5	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13
6	საბანკო ანაზღაურებები	14
7	საინვესტიციო აქტივები	14
8	სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები (აქტივები)	17
9	გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები (ვალდებულებები)	19
10	სხვა აქტივები	21
11	ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	22
12	არამატერიალური აქტივები	24
13	აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	26
14	ძირითადი საშუალებები	27
15	საკუთარი კაპიტალი	29
16	აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულებები	29
17	ფინანსური ვალდებულებები	32
18	სხვა ვალდებულებები	32
19	გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი	32
20	წმინდა სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი (ხარჯები)	33
21	საინვესტიციო და სხვა შემოსავალი	34
22	ხარჯები მათი ბუნების მიხედვით	36
23	მოგების გადასახადის ხარჯი/(შელავათი)	38
24	ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა	39
25	კაპიტალის მართვა	39
26	სადაზღვევო რისკის მართვა	40
27	სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	47
28	პირობითი ვალდებულებები	62
29	დაკავშირებული მხარეები	62
30	არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ	67
31	ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება	78
32	ახალი საბუღალტრო სტანდარტები	79
33	შემდგომი მოვლენები	81

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „თიბისი დაზღვევის“ აქციონერსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „თიბისი დაზღვევის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოს (შემდგომში, ერთობლივად, - „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე ჯგუფისა და კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფას“) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენი აუდიტის საგანი

ჯგუფისა და კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგს:

- კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგების და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები, რომლებიც მოიცავს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებით ინფორმაციას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ ჯგუფისგან და კომპანიისგან ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის ეთიკურობის მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც რელევანტურია საქართველოში საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის და ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (ბესს-ის კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ ამასთანავე შესრულებული გვაქვს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის ეთიკურობის მოთხოვნებითა და ბესს-ის კოდექსით გათვალისწინებული ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაში (გარდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა).

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებით ასევე ჩავატარეთ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილი პროცედურები. ეს პროცედურები მოიცავს იმის დადგენას, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება შეიცავს თუ არა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას. გარდა ამისა, ჩვენ მოგვეთხოვება დავასკვნათ, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები აკმაყოფილებს თუ არა მარეგულირებლის შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ჩვენი დასკვნით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს; და

- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ამასთან, ჯგუფისა და კომპანიის და მისი გარემოს შესახებ აუდიტის პროცესში მიღებული ინფორმაციისა და ცოდნის საფუძველზე, გვევალება განვაცხადოთ, გამოვავლინეთ თუ არა არსებითი უზუსტობები კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვთ თუ არა ჯგუფს და კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელონ, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის და კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვაგვარად მოქცევის რეალური ალტერნატივა.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მეთვალყურეობაზე. [Error! Bookmark not defined.](#)

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

სხვა აქტივები, სულ	2,092	1,961	2,003	1,879

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

10 სხვა აქტივები (გაგრძელება)

* სადაზღვევო ზარალის ანაზღაურების შემდეგ, ყოველგვარ ნარჩენ ქონებაზე უფლებები გადადის ჯგუფზე და აღირიცხება, როგორც სუბროგაციის გზით მიღებული აქტივები.

11 ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

კომპანია ერთპიროვნულად ფლობს ერთ შვილობილ საწარმოს - შპს „რედმედი“ დაწვრილებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ 1-ელი და 20 ბ/გ შენიშვნები.

ათას ლარში	ინდივიდუალური	
	2025 წ.	2024
საბალანსო ღირებულება 1 იანვარს	1,661	1,319
კაპიტალში შენატანი	160	564
შვილობილ საწარმოში ინვესტიციის გაუფასურება	(68)	(222)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერს	1,753	1,661

იხილეთ მე-3 შენიშვნა გადაანგარიშების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის:

ათას ლარში	2024 წელს		2024 წელს
	გაცხადებული	გადაანგარიშება	გადაანგარიშებული
საბალანსო ღირებულება 1 იანვარს	6,242	(4,923)	1,319
კაპიტალში შენატანი	564	-	564
შვილობილ საწარმოში ინვესტიციის გაუფასურება	(222)	-	(222)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერს	6,584	(4,923)	1,661

შვილობილ საწარმოში ინვესტიციის გაუფასურება

საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიამ შეაფასა, არსებობდა თუ არა იმის ნიშნები, რომ შვილობილ საწარმოში კომპანიის ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებს შეადგენდა.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ შპს „რედმედი“ განხორციელებულ ინვესტიციასთან დაკავშირებით გამოავლინა გაუფასურების მაჩვენებლები საწარმოს ფაქტობრივი საოპერაციო მოგება ბიუჯეტირებულ მაჩვენებელზე ნაკლები აღმოჩნდა, რის შედეგადაც ხელმძღვანელობამ ჩაატარა გაუფასურების ტესტი.

ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა მისი გამოყენების ღირებულების საფუძველზე. ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, რის გამოც 68 ათასი ლარის ოდენობის გაუფასურების ზარალი აღიარებულ იქნა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2024 წ.: 222 ათასი ლარი).

11 შვილობილ საწარმოში ინვესტიციის გაუფასურება (გაგრძელება)

დისკონტირებული ფულადი ნაკადების პროგნოზირებისას გამოყენებულ იქნა შემდეგი ძირითადი დაშვებები:

- ფულადი ნაკადების პროგნოზირება განხორციელდა 2025 წლის ფაქტობრივი საოპერაციო შედეგებისა და ხუთწლიანი პროგნოზის საფუძველზე.
- მოსალოდნელი იყო ამონაგების 100%-იანი ზრდა 2026 წელს. შემდგომ წლებში ზრდის ტემპი ეტაპობრივად მცირდება და 2030 წლისთვის 5%-ს აღწევს.
- პროგნოზის მიხედვით, EBITDA უდანაკარგო იქნება 2026 წელს, 29%-ით გაიზრდება 2027 წელს და 28%-ით 2028 წელს, ხოლო 2029-2030 წლებში სტაბილური დარჩება.
- 12.48%-იანი გადასახადების შემდგომი დისკონტირების განაკვეთი იქნა გამოყენებული ანაზღაურებადი ღირებულების დასადგენად. გამოყენებული გადასახადებამდელი დისკონტირების განაკვეთი იყო 14.68%. ხუთწლიანი პერიოდის ბოლოსთვის განისაზღვრა საბოლოო ღირებულება, და საბოლოო პერიოდში გამოყენებული იქნა 5%-იანი გრძელვადიანი ზრდის ტემპი.

ძირითადი დაშვება, რომლის მიმართაც გაუფასურების მოდელი ყველაზე მგრძობიარეა, არის დისკონტირების განაკვეთი – დისკონტირების განაკვეთის 1 პროცენტული პუნქტით ზრდა გამოიწვევდა გაუფასურების ზარალის გაუქმებას 356 ათასი ლარის ოდენობით (დისკონტირების განაკვეთის 1 პროცენტული პუნქტით შემცირება გამოიწვევდა გაუფასურების ზარალის გაუქმებას 497 ათასი ლარის ოდენობით).

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

12 არამატერიალური აქტივები

კონსოლიდირებული	საწარმოში შექმნილი		სხვა	
	არამატერიალური აქტივები		არამატერიალური აქტივები	
	კომპიუტერული და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	ლიცენზიები	კომპიუტერული და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
<i>ათას ლარში</i>				
თვითღირებულება:				
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	8,526	573	2,618	11,717
შემოსვლები	1,622	677	590	2,889
გასვლები	(2,448)	(461)	(237)	(3,146)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,700	789	2,971	11,460
ნაშთი 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	7,700	789	2,971	11,460
შემოსვლები	1,788	245	410	2,443
გასვლები	(1,445)	-	-	(1,445)
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,042	1,034	3,381	12,458
დაგროვილი ამორტიზაცია:				
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,920	395	1,635	4,950
წლის დანარიცხი	1,547	449	530	2,526
გასვლები	(1,232)	(266)	(131)	(1,629)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,235	578	2,034	5,847
ნაშთი 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,236	578	2,034	5,847
წლის დანარიცხი	1,049	325	500	1,874
გასვლები	(769)	-	-	(769)
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,516	903	2,534	6,953
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება				
31 დეკემბერი, 2024 წ.	4,465	211	937	5,613
31 დეკემბერი, 2025 წ.	4,526	131	847	5,504

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

12 არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

ინდივიდუალური	საწარმოში შექმნილი		სხვა არამატერიალური აქტივები	
	არამატერიალური აქტივები	კომპიუტერული და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	ლიცენზიები	კომპიუტერული და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა
ათას ლარში				სულ
თვითღირებულება:				
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	6,316	537	2,791	9,644
შემოსვლები	1,375	677	590	2,642
გასვლები	(2,448)	(461)	(237)	(3,146)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,243	753	3,144	9,140
ნაშთი 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	5,243	753	3,143	9,140
შემოსვლები	1,657	245	410	2,312
გასვლები	(1,445)	-	-	(1,445)
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,455	998	3,554	10,007
დაგროვილი ამორტიზაცია:				
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,447	359	1,777	4,583
წლის დანარიცხი	1,369	449	528	2,346
გასვლები	(1,232)	(266)	(131)	(1,629)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,584	542	2,174	5,300
ნაშთი 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,584	542	2,174	5,300
წლის დანარიცხი	852	325	500	1,677
გასვლები	(769)	-	-	(769)
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,667	867	2,674	6,208
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება				
31 დეკემბერი, 2024 წ.	2,659	211	970	3,840
31 დეკემბერი, 2025 წ.	2,787	131	879	3,797

სს „თიზისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

13 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

საბალანსო ღირებულება 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4,386	4,386
შემოსვლები	237	237
მოდIFIკაციები	13	13
ცვეთის ხარჯი	(1,076)	(1,076)
საბალანსო ღირებულება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,560	3,560

ჯგუფს იჯარით მხოლოდ საოფისე ფართები აქვს აღებული. საიჯარო ხელშეკრულებები, როგორც წესი, ფორმდება ფიქსირებული ვადით 1-დან 10 წლამდე.

<i>ათას ლარში</i>	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
	ოფისები	სულ
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,806	3,806
შემოსვლები	1,291	1,291
მოდIFIკაციები	158	158
ცვეთის ხარჯი	(869)	(869)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,386	4,386

საიჯარო ვალდებულებების შეჯერება ასე გამოიყურება:

<i>ათას ლარში</i>	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2025 წელი	2024 წელი	2025 წელი	2024 წელი
საიჯარო ვალდებულებები 1 იანვრის მდგომარეობით	4,838	3,851	4,838	3,661
ფულადი ნაკადები	(1,312)	(958)	(1,312)	(938)
ძირითადი თანხის დაფარვა	(969)	(652)	(969)	(640)
გადახდილი პროცენტი	(343)	(306)	(343)	(298)
არაფულადი ცვლილებები	374	1,945	374	2,115
პროცენტის დარიცხვა	343	306	343	298
შემოსვლები	237	1,291	237	1,291
მოდIFIკაციები	13	158	13	324
სავალუტო კურსის კორექტირებები	(219)	190	(219)	202
საიჯარო ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,900	4,838	3,900	4,838

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

13 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

ჯგუფმა შემდეგი საიჯარო ვალდებულებები აღიარა:

ათას ლარში	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2025 წელი	2024 წელი	2025 წელი	2024 წელი
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	1,022	932	1,022	931
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	2,878	3,906	2,878	3,907
სულ საიჯარო ვალდებულებები	3,900	4,838	3,900	4,838

2025 წელს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები (ასახული ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში) შეადგენს 234 ათას ლარს (2024 წ.: 157 ათასი ლარი).

14 ძირითადი საშუალებები

კონსოლიდირებული	ავიჯი და კომპიუტერული აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	სულ
ათას ლარში				
თვითღირებულება:				
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,160	359	1,456	3,975
შემოსვლები	514	62	239	815
გასვლები	(57)	(90)	-	(147)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,617	331	1,695	4,643
ნაშთი 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,617	331	1,695	4,643
შემოსვლები	614	142	90	846
გასვლები	(332)	(63)	-	(395)
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,899	410	1,785	5,094
დაგროვილი ცვეთა:				
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,373	69	1,294	2,736
წლის დანარიცხი	299	33	120	452
გასვლები	(47)	(31)	-	(78)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,625	71	1,414	3,110
ნაშთი 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,625	71	1,414	3,110
წლის დანარიცხი	346	37	100	483
გასვლები	(306)	(20)	-	(326)
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,665	88	1,514	3,267
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება				
31 დეკემბერი, 2024 წ.	992	260	281	1,533
31 დეკემბერი, 2025 წ.	1,234	322	271	1,827

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

14 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ინდივიდუალური	ავეჯი და კომპიუტერული აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	სულ
<i>ათას ლარში</i>				
თვითღირებულება:				
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის				
მდგომარეობით	2,077	359	1,451	3,887
შემოსვლები	514	62	239	815
გასვლები	(54)	(90)	-	(144)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,537	331	1,690	4,558
ნაშთი 2025 წლის 1 იანვრის				
მდგომარეობით	2,537	331	1,690	4,558
შემოსვლები	614	142	90	846
გასვლები	(328)	(63)	-	(391)
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,823	410	1,780	5,013
დაგროვილი ცვეთა:				
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის				
მდგომარეობით	1,301	69	1,290	2,660
წლის დანარიცხი	288	33	119	440
გასვლები	(44)	(31)	-	(75)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,545	71	1,409	3,025
ნაშთი 2025 წლის 1 იანვრის				
მდგომარეობით	1,545	71	1,409	3,025
წლის დანარიცხი	346	37	100	483
გასვლები	(302)	(20)	-	(322)
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,589	88	1,509	3,186
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება				
31 დეკემბერი, 2024 წ.	992	260	281	1,533
31 დეკემბერი, 2025 წ.	1,234	322	271	1,827

15 საკუთარი კაპიტალი

(ა) სააქციო კაპიტალი

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა ნებადართული კაპიტალი 15,000 ათასი ლარის ოდენობით (2024 წ.: 15,000 ათასი ლარი). 1 ლარის ნომინალური ღირებულების მქონე 7,481,870 აქცია იყო გამოშვებული და სრულად განაღდებული 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფის მშობელ საწარმოს უფლება აქვს, დროდადრო მიიღოს გამოცხადებული დივიდენდები.

(ბ) დივიდენდები

როგორც საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს, ჯგუფის განაწილებადი რეზერვები არ აღემატება გაუნაწილებელი მოგების ნაშთს, რომელიც აღრიცხულია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებულ სავალდებულო კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ათას ლარში	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
	2025 წ.	2024 წ.
გადასახდელი დივიდენდები 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები	20,000	13,600
წლის განმავლობაში გაცემული დივიდენდები	(20,000)	(13,600)
გადასახდელი დივიდენდები 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-
წლის განმავლობაში ერთ აქციაზე გამოცხადებული დივიდენდები (ლარი)	2.67	1.82

(გ) სხვა რეზერვები

2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,300 ათასი ლარის სხვა რეზერვები მოიცავს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისთვის 2019 წელს შვილობილი საწარმოების მიყიდვის აკუმულირებულ შედეგს.

აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების გეგმის 2024 წლის ნაწილზე უფლებების მინიჭება მოხდა 2025 წელს (მე-16 შენიშვნა). ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა, შეეძინა შესაბამისი აქციები სამართლიან ღირებულებაზე ნაკლებ ფასად. დასაქმებულებისთვის გადაცემული აქციების სამართლიან ღირებულებასა და მშობელი საწარმოსთვის გადახდილ საზღაურს შორის 732 ათასი ლარის ოდენობით 2025 წელს (2024 წ.: ნული) ასახულია აქციონერთა კაპიტალის სხვა რეზერვების ნაწილში, როგორც მშობელი საწარმოს შენატანი კაპიტალში. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის აკუმულირებული ანალოგიური შენატანი კაპიტალში გაუტოლდა 2,880 ათას ლარს.

16 აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულებები

2021 წელს სს „თიბისი დაზღვევა“ დაამტკიცა კომპენსაციის სქემა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებისთვის, რომლის მიხედვით, კომპანია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებს ყოველწლიურად, საქმიანობის შედეგებისა და მომსახურების პირობების საფუძველზე, ხუთწლიანი ვადით (2019-2023) გადასცემდა პირობით აქციებს, რომლებიც მოგვიანებით გარდაიქმნა მშობელი საწარმოს (საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“) ფაქტობრივ აქციებად. პირობით აქციებზე არ გაიცემოდა დივიდენდები და მათი გასხვისება ან დაგირავება შეზღუდული იყო, ასევე ასეთი ტიპის აქციები არ მოიცავდა ხმის მიცემის უფლებას.

16 აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულებები (გაგრძელება)

ეფექტურობის ინდივიდუალური მაჩვენებლები განისაზღვრა ინდივიდუალურად და გამოიყენებოდა თითოეული დასაქმებულისთვის გადაცემული აქციების თანხის გამოსათვლელად. ამ კომპენსაციის სქემით, უფლების გადაცემის პერიოდი აქციების ყოველი წლის გადაცემისთვის გაგრძელდა 2024 წლის მარტამდე.

აქციების გადაცემა და ასევე შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი აღირიცხა, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით ფასს 2-ის მიხედვით. ხარჯი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აისახა უფლების ეტაპობრივი გადაცემის მეთოდით უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში, რომელიც, ყოველ წელს გადაცემული აქციებისთვის, გაგრძელდა 2024 წლის მარტამდე; ხოლო ვალდებულება აღირიცხა საბუღალტრო ჩანაწერის მეორე მხარეს. ვალდებულება გადაფასდა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის მის გასტუმრებამდე. თუ გადაცემული აქციების ოდენობა დამოკიდებული იყო გარკვეული შედეგის მიღწევაზე და მომსახურების პირობების შესრულებაზე, ხელმძღვანელობა გადაცემული აქციების სავარაუდო ღირებულებას გადახედავდა ხუთი წლის განმავლობაში პროგნოზირებული მიღწევებისა და მეხუთე წლის ფინანსური მაჩვენებლების საფუძველზე და შესაბამისად აკორექტირებდა ვალდებულებას.

KPI-ები, რომლებიც ხელმძღვანელობამ უნდა დააკმაყოფილოს, მოიცავს შემდეგს:

- 2023 წლისთვის მოზიდული მთლიანი პრემიები
- 2023 წლის წმინდა მოგება
- სააღრიცხვო ღირებულება – კომპანიის წმინდა აქტივები 2023 წლისთვის, დამატებული 2023 წლამდე განაწილებული დივიდენდები

პირობითი აქციების რეალურ აქციებად გარდაქმნა ხდებოდა ფასს-ის მიხედვით ფაქტობრივ შედეგებზე დაყრდნობით, დაუყოვნებლივ, გარდაქმნის თარიღამდე და წინასწარ განსაზღვრული ფორმულით.

2024 წელს სს „თიბისი დაზღვევა“ დაამტკიცა კომპენსაციის სქემა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა იღებს ფულად პრემიებს და ასევე აქციებზე დაფუძნებული გადახდის ჯილდოებს. ამ სქემის მიხედვით ყოველწლიურად წინასწარ განსაზღვრული საქმიანობის შედეგების მიხედვით, მშობელი საწარმოს – საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ აქციების გარკვეული რაოდენობა გადაეცემა ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას. ჯგუფი ვალდებულია ჯილდოები გადაიხადოს თავისი მშობელი საწარმოს აქციების სახით. საქმიანობის შედეგებში იგულისხმება ინდივიდუალური საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები (KPI-ები). KPI-ები ძირითადად უკავშირდება მიზნობრივი საბაზრო წილის, მომგებიანობისა და არაფინანსური მაჩვენებლების მიღწევას, რომლებიც უკავშირდება მომხმარებელთა კმაყოფილებას, გაციფრულებასა და თანამშრომელთა ჩართულობას. გადაცემის შემდეგ ყველა აქციას აქვს მომსახურების პირობები და, ამ პირობების დაკმაყოფილებამდე, მათზე შესაძლებელია დივიდენდების მიღება მშობელი საწარმოსგან; თუმცა არ შეიძლება მათი გაყიდვა ან გადაცემა მესამე მხარეებისთვის. ვადა ითვალისწინებს უწყვეტ დასაქმებას მანამ, სანამ სქემის მონაწილეებისთვის უფლების ეტაპობრივი გადაცემა დასრულდება. მატერიალური რისკის ამღები პირისთვის, გამოყოფილი აქციების 20%-ზე უფლების გადაცემის პერიოდი წარმოადგენს 6 თვეს აქციის გამოყოფის თარიღიდან. მატერიალური რისკის ამღები პირისთვის გამოყოფილი აქციების დარჩენილ ნაწილზე, ასევე სხვა პროგრამის მონაწილეებისთვის გადაცემული აქციების 100%-ზე უფლების გადაცემის პირობებია 33%, 33%, 34% წელიწადში სამი წლის განმავლობაში აქციების გამოყოფის თარიღიდან. ამ კომპენსაციის სისტემით, უფლების გადაცემის მთლიანი პერიოდი გრძელდება 4 წლის განმავლობაში სამსახურის დაწყების თარიღიდან.

16 აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულებები (გაგრძელება)

აღნიშნული პროგრამა ფარავს 3 წელს (2024-2026). პროგრამა აღირიცხება, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდა, ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით, ხოლო სამივე წლიური ტრანშის თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები, შესაბამისი გადასახადების ჩათვლით, აღიარდება პროპორციულად თითოეული შესაბამისი პროგრამის ტრანშზე უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში და შესაბამისი ბუღალტრული გატარება კრედიტდება ვალდებულებებზე. 2025 წლის განმავლობაში თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები შეადგენდა 1,140 ათას ლარს. გადავადებული პრემია აქციების სახით წარმოადგენს შესაძლო პრემიების თანხას, რომელიც გამოიყოფა საქმიანობის შედეგების მიხედვით. აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულების სამართლიანი ღირებულება თითოეული ტრანშისთვის, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, განისაზღვრება ბონუსის ოდენობის მიხედვით (რომელიც დამოკიდებულია მომსახურების პირობების სავარაუდო შესრულებაზე) და დისკონტირდება დღევანდელ ღირებულებამდე. მოქმედი ცვლადი ანაზღაურების სისტემის საგადასახადო ნაწილი აღირიცხება ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების საფუძველზე. ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით გასასტუმრებელი ნაწილი, რომელიც ვალდებულებად არის აღიარებული 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 1,358 ათას ლარს.

ათას ლარში	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
	31-დეკ-2025	31-დეკ-2024
ვალდებულება პერიოდის დასაწყისში	(1,629)	(9,060)
მიმდინარე წლის ხარჯი, დაკავშირებული 2024-2026 წლების პროგრამასთან	(710)	(1,322)
მიმდინარე წლის ხარჯი, დაკავშირებული 2019-2023 წლების პროგრამასთან	-	(429)
დღევანდელი ღირებულების დისკონტის ამორტიზაცია 2024-2026 წლების პროგრამასთან დაკავშირებით	(430)	(307)
დღევანდელი ღირებულების დისკონტის ამორტიზაცია 2019-2023 წლების პროგრამასთან დაკავშირებით	-	(224)
2019-2023 წლებთან დაკავშირებული წინა წლების ხარჯის გადაფასება	-	(18)
თანამშრომლებზე გაწეულ დანახარჯად აღიარებული მთლიანი ხარჯი პერიოდის განმავლობაში	(1,140)	(2,300)
დასაქმებულებისთვის გადაცემული აქციების სამართლიანი ღირებულება	1,415	9,731
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულება პერიოდის ბოლოს	(1,354)	(1,629)

2025 წლის ბოლოსთვის იმ ვალდებულების საკუთარი ღირებულება, რომელზეც უფლება გადაცემულია, ნულს შეადგენდა (2024 წ.: ნული).

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

17 ფინანსური ვალდებულებები

ათას ლარში	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2025 წ.	2024 წ.	2025 წ.	2024 წ.
საგარანტიო პოლისების უზრუნველყოფა*	1,061	3,233	1,063	3,233
დავალიანება მომწოდებლების წინაშე	1,477	1,697	1,466	1,679
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	2,538	4,930	2,529	4,912

* გაცემული საგარანტიო პოლისების შემთხვევაში, ჯგუფმა შეიძლება მოსთხოვოს დამზღვევს, რომ ვალდებულების თანხა სრულად ან ნაწილობრივ განათავსოს ჯგუფის საბანკო ანგარიშზე. შესაბამისი პოლისის ვადის გასვლის შემდეგ, თანხა დამზღვევს უბრუნდება.

18 სხვა ვალდებულებები

ათას ლარში	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
	2025 წ.	2024 წ.
მიღებული ავანსები	1,067	1,809
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარჩენები	1,994	1,495
სხვა ვალდებულებები	211	360
მთლიანი სხვა ვალდებულებები	3,272	3,664

19 გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი

ათას ლარში	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური		
	სიცოცხლისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დაზღვევა	ქონებისა და უბედური შემთხვევის დაზღვევა	სულ
2025 წ.			
ამონაგები სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან	130,044	118,467	248,511
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები	(58,951)	(80,183)	(139,134)
აკვიზიციის ხარჯები	(26,754)	(12,468)	(39,222)
უწინდელ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	2,363	2,113	4,476
სამომავლო მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	8,185	9,040	17,225
პირდაპირ მიკუთვნებადი სხვა ხარჯები	(4,711)	(15,590)	(20,301)
სულ სადაზღვევო ხარჯები	(79,868)	(97,088)	(176,956)
წმინდა ხარჯები ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან	(7,652)	(13,983)	(21,635)
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი	42,524	7,396	49,920

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

19. გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი (გაგრძელება)

ათას ლარში	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური		
	სიცოცხლისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დაზღვევა	ქონებისა და უბედური შემთხვევის დაზღვევა	სულ
2024 წ.			
ამონაგები სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან	102,960	93,385	196,345
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები	(52,267)	(58,557)	(110,824)
აკვიზიციის ხარჯები	(20,221)	(9,706)	(29,927)
უწინდელ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	600	(524)	76
სამომავლო მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	3,873	5,837	9,710
პირდაპირ მიკუთვნებადი სხვა ხარჯები	(9,163)	(7,786)	(16,949)
სულ სადაზღვევო ხარჯები	(77,178)	(70,736)	(147,914)
წმინდა შემოსავალი (ხარჯები) ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან	(6,398)	(5,734)	(12,132)
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი	19,384	16,915	36,299

20 წმინდა სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი (ხარჯები)

ფინანსური შემოსავალი გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან და ფინანსური შემოსავალი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან შედგება მხოლოდ შემოსულობისა და ზარალისგან უცხოური ვალუტის გადაყვანის შედეგად, რომელიც, შესაბამისად უკავშირდება გამოშვებულ სადაზღვევო ხელშეკრულებებსა და ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებს.

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

21 საინვესტიციო და სხვა შემოსავალი

2025 წ.		კონსოლიდირებული		
<i>ათას ლარში</i>	საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით	ფინანსური აქტივების აღდგენა (გაუფასურება)	წმინდა საინვესტიციო და სხვა შემოსავალი	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,256	-	1,256	
სადეპოზიტო სერტიფიკატები	9,896	(238)	9,658	
სახელმწიფო ობლიგაცია	316	-	316	
სხვა სავალო ფასიანი ქაღალდები	983	19	1,001	
სხვა შემოსავალი	-	-	286	
სულ საინვესტიციო და სხვა შემოსავალი	12,451	(219)	12,517	
2024 წ.		კონსოლიდირებული		
<i>ათას ლარში</i>	საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით	ფინანსური აქტივების აღდგენა (გაუფასურება)	წმინდა საინვესტიციო და სხვა შემოსავალი	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,934	-	1,934	
სადეპოზიტო სერტიფიკატები	6,327	(133)	6,194	
სახელმწიფო ობლიგაცია	80	-	80	
სხვა სავალო ფასიანი ქაღალდები	1,134	(32)	1,102	
სხვა შემოსავალი	-	-	183	
სულ საინვესტიციო და სხვა შემოსავალი	9,475	(165)	9,493	
2025 წ.		ინდივიდუალური		
<i>ათას ლარში</i>	საპროცენტო ამონაგები	ფინანსური აქტივების აღდგენა (გაუფასურება)	წმინდა საინვესტიციო და სხვა შემოსავალი	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,256	-	1,256	
სადეპოზიტო სერტიფიკატები	9,896	(238)	9,658	
სახელმწიფო ობლიგაცია	316	-	316	
სხვა სავალო ფასიანი ქაღალდები	983	19	1,001	
სხვა შემოსავალი	-	-	371	
შვილობილ საწარმოში ინვესტიციის გაუფასურება	-	-	(68)	
სულ საინვესტიციო და სხვა შემოსავალი	12,451	(219)	12,534	

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

21 საინვესტიციო და სხვა შემოსავალი (გაგრძელება)

2024 წ.	ინდივიდუალური		
<i>ათას ლარში</i>	საპროცენტო ამონაგები	ფინანსური აქტივების აღდგენა (გაუფასურება)	წმინდა საინვესტიციო და სხვა შემოსავალი
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,934	-	1,934
სადეპოზიტო სერტიფიკატები	6,327	(133)	6,194
სახელმწიფო ობლიგაცია	80	-	
სხვა სავალო ფასიანი ქაღალდები	1,134	(32)	1,102
სხვა შემოსავალი	-	-	(33)
შვილობილ საწარმოში ინვესტიციის გაუფასურება	-	-	(222)
სულ საინვესტიციო და სხვა შემოსავალი	9,475	(165)	9,055

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

22 ხარჯები მათი ბუნების მიხედვით

კონსოლიდირებული ათას ლარში	2025 წ.			2024		
	პირდაპირ მიკუთ- ვნიებადი ხარჯები	სხვა საოპე- რაციო ხარჯები	სულ	პირდაპირ მიკუთ- ვნიებადი ხარჯები	სხვა საოპე- რაციო ხარჯები	სულ
ხელფასები	(7,155)	(8,527)	(15,682)	(5,781)	(7,037)	(12,818)
პრემიები, გარდა	(3,165)	(1,422)	(4,587)			
ხელმძღვანელი პირების პრემიებისა				(2,565)	(599)	(3,164)
ხელმძღვანელი პირების პრემიები	-	(1,856)	(1,856)	-	(3,098)	(3,098)
დაზღვევა და სხვა	(691)	(795)	(1,486)			
გასამრჯელოები				(393)	(725)	(1,118)
სავალდებულო პენსია	(310)	(323)	(633)	(267)	(316)	(583)
სულ ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	(11,321)	(12,923)	(24,244)	(9,006)	(11,775)	(20,781)
საზედამხედველო მოსაკრებელი	(2,498)	-	(2,498)	(1,977)	-	(1,977)
მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა	(2,256)	(1)	(2,257)	(1,696)	(56)	(1,752)
არამატერიალური აქტივების ჩამოწერა	(480)	(196)	(676)	(937)	(579)	(1,516)
პროგრამული და ტექნიკური მხარდაჭერა	(90)	(1,996)	(2,086)	(90)	(1,216)	(1,306)
პროფესიული მომსახურების ღირებულება	-	(1,363)	(1,363)	-	(1,009)	(1,009)
საოფისე შესყიდვები	(442)	(227)	(669)	(295)	(183)	(478)
ბანკის მომსახურების ღირებულება და სხვა	-	(594)	(594)			
საკომისიო				-	(472)	(472)
საფოსტო, სატელეკომუნიკაციო, კომუნალური მომსახურება		(489)	(489)	-	(386)	(386)
მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის	(355)	-	(355)			
პასუხისმგებლობის დაზღვევის მართვის გასამრჯელო*				(239)	-	(239)
არადაბრუნებადი დღგ	(153)	(59)	(212)	(121)	(74)	(195)
საიჯარო გადახდებზე გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	-	(273)	(273)	-	(190)	(190)
მოკლევადიანი იჯარები	(136)	(97)	(233)	(94)	(63)	(157)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(391)	(656)	(1,047)	(242)	(829)	(1,014)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	(6,801)	(5,951)	(12,752)	(5,691)	(5,057)	(10,748)
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,179)	(1,236)	(3,415)	(2,252)	(1,596)	(3,848)
სულ საოპერაციო ხარჯები	(20,301)	(20,110)	(40,411)	(16,949)	(18,428)	(35,377)

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

22 ხარჯები მათი ბუნების მიხედვით (გაგრძელება)

ინდივიდუალური <i>ათას ლარში</i>	2025 წ.			2024		
	პირდაპირ მიკუთ- ვნიბადი ხარჯები	სხვა საოპე- რაციო ხარჯები	სულ	პირდაპირ მიკუთ- ვნიბადი ხარჯები	სხვა საოპე- რაციო ხარჯები	სულ
ხელფასები	(7,155)	(8,410)	(15,565)	(5,781)	(6,711)	(12,492)
პრემიები, გარდა ხელმძღვანელი პირების პრემიებისა	(3,165)	(1,407)	(4,572)	(2,565)	(581)	(3,146)
ხელმძღვანელი პირების პრემიები	-	(1,856)	(1,856)	-	(3,098)	(3,098)
დაზღვევა და სხვა გასამრჯელოები	(691)	(789)	(1,480)	(393)	(711)	(1,104)
სავალდებულო პენსია	(310)	(314)	(624)	(267)	(301)	(568)
სულ ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	(11,321)	(12,776)	(24,097)	(9,006)	(11,402)	(20,408)
საზედამხედველო მოსაკრებელი მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა	(2,498)	-	(2,498)	(1,977)	-	(1,977)
არამატერიალური აქტივების ჩამოწერა	(2,256)	-	(2,256)	(1,696)	(1)	(1,697)
პროგრამული და ტექნიკური მხარდაჭერა	(480)	(196)	(676)	(937)	(579)	(1,516)
პროფესიული მომსახურების ღირებულება	(90)	(1,892)	(1,982)	(90)	(1,112)	(1,202)
ლირებულება	-	(1,334)	(1,334)	-	(985)	(985)
საოფისე შესყიდვები	(442)	(223)	(665)	(295)	(177)	(472)
ბანკის მომსახურების ღირებულება და სხვა საკომისიო	-	(594)	(594)	-	(472)	(472)
საფოსტო, სატელეკომუნიკაციო, კომუნალური მომსახურება	-	(489)	(489)	-	(378)	(378)
მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევის მართვის გასამრჯელო*	(355)	-	(355)	(239)	-	(239)
არადაბრუნებადი დღგ საიჯარო გადახდებზე	(153)	(59)	(211)	(121)	(70)	(191)
გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	-	(273)	(273)	-	(190)	(190)
მოკლევადიანი იჯარები	(136)	(97)	(234)	(94)	(63)	(157)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(391)	(623)	(1,014)	(242)	(784)	(1,026)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	(6,321)	(5,780)	(12,581)	(5,691)	(4,811)	(10,502)
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,179)	(1,039)	(3,218)	(2,252)	(1,382)	(3,634)
სულ საოპერაციო ხარჯები	(20,301)	(19,595)	(39,896)	(16,949)	(17,595)	(34,544)

22 ხარჯები მათი ბუნების მიხედვით (გაგრძელება)

* 2018 წელს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ (შემდგომში „ცენტრი“) დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ცენტრის მიზანი იყო სადაზღვევო სისტემაში მონაწილე მზღვევლების მიერ მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის მართვა. მზღვევლები ყოველთვიურ მართვის ღირებულებას უხდიან ცენტრს, რომლის მთავარი ფუნქცია-მოვალეობები არის კლიენტების უწყვეტი მომსახურება, სადაზღვევო პოლისების რეალიზაცია და ზარალების რეგულირება.

ზემოაღნიშნული პროფესიული მომსახურების ღირებულება მოიცავს 302 ათას ლარს (2024 წ.: 325 ათასი ლარი) - აუდიტორის/აუდიტორული კომპანიის მიერ აუდიტორულ და სხვა მომსახურებაში გადახდილ გასამრჯელოს, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტების შესაბამისად.

23 მოგების გადასახადის ხარჯი/(შელავათი)

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ე.წ. მოგების გადასახადის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად დაბეგვრის მომენტი დასაბეგრი მოგების მიღებიდან გადააქვს მოგების განაწილებაზე. 2018 წლის 28 დეკემბერს კანონი ისევ შეიცვალა და 2023 წლის 1 იანვარი დაადგინა კანონის ძალაში შესვლის თარიღად ფინანსური დაწესებულებებისთვის (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და სხვა). 2022 წლის დეკემბერში ძალაში შესვლის თარიღმა ისევ გადაიწია და ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვარს. ჯგუფი 2025 წელს იბეგრებოდა მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით (2024 წ.: 15%).

ქვემოთ მოცემულია მოსალოდნელი და ფაქტობრივად დარიცხული გადასახადების შეჯერება:

ათას ლარში	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2025 წ.	2024	2025 წ.	2024 წ.
დასაბეგრი მოგება	42,538	27,086	43,172	27,483
თეორიული გადასახადის დანარიცხი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთის მიხედვით იმ მუხლების საგადასახადო ეფექტი, რომლებიც საგადასახადო მიზნებისთვის გამოიქვითვას ან დაკავებას არ ექვემდებარება:				
- გადასახადისგან გათავისუფლებული შემოსავალი*:	(6,381)	(4,063)	(6,476)	(4,122)
- წინა წლის მოგების განაწილება	(3,000)	(2,040)	(3,000)	(2,040)
- გაუნაწილებელი მოგება	(3,381)	(2,023)	(3,476)	(2,023)
- გამოუქვითავი ხარჯები	(5)	26	(5)	26
წლის მოგების გადასახადის (შელავათი)/ხარჯი	(5)	26	(5)	26

* საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად, საწარმოს შეუძლია გაქვითოს მანამდე გადახდილი მოგების გადასახადი, თუ იგი იმ პერიოდის მოგებას განაწილებს, რომელიც წინ უსწრებდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელის დანერგვას. ჯგუფმა ეს გამონაკლისი გამოიყენა 2025 წელს განაწილებული დივიდენდებისთვის.

23. მოგების გადასახადის ხარჯი / (შელავათი) (გაგრძელება)

მოგების გადასახადის ვალდებულების შეჯერება და მოგების გადასახადის ხარჯის შემადგენლობა ასე გამოიყურება:

ათას ლარში	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
	2025 წ.	2024 წ.
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	-	1,582
მიმდინარე გადასახადი	(5)	26
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	(5)	26
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(1,608)
სხვა აქტივებში გადატანილი საგადასახადო ვალდებულებები	5	-
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-

ახალი საგადასახადო სისტემის ზემოთ აღწერილი ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში დარეგისტრირებულ ფინანსურ დაწესებულებებს არ ექნებათ სხვაობები აქტივების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის 2025 წლის 1 იანვრიდან. შესაბამისად, ამ თარიღიდან არ წარმოიქმნება მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. შესაბამისად, 2024 წელს გადავადებული საგადასახადო აქტივის ნაშთი ჩამოიწერა ჯგუფის ბალანსიდან.

24 ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

2025 წლისა და 2024 წლის მდგომარეობით, არ დაფიქსირებულა ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ექვემდებარებოდა ურთიერთგადაფარვის, ურთიერთჩათვლის და მსგავს შეთანხმებებს.

25 კაპიტალის მართვა

(ა) კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მეთოდი

კაპიტალის მართვის მთავარი მიზანია, კაპიტალი ყოველთვის ჯგუფის რისკის პროფილის შესაბამის დონეზე შენარჩუნდეს და გაკონტროლდეს. ჯგუფის კაპიტალის მართვის ამოცანებია:

- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება საქმიანობის გაფართოების მხარდასაჭერად და დამზღვევების, მარეგულირებელი ორგანოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
- სადაზღვევო ვალდებულებების დასაფარად მიღებული აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის შენარჩუნება, დაფარვის დროისთვის და მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნების გადაჭარბებით შესრულება; და
- ჯგუფის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით პოლისის მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

კაპიტალის ადეკვატური რესურსების მუდმივი შენარჩუნება და მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების შესრულება ჯგუფის ინტერესშია. ჯგუფის მიერ გამოყენებული კაპიტალის მთავარი წყაროა აქციების გამოშვებით დაფინანსება. კაპიტალის ძლიერი ბაზის შენარჩუნებას ჯგუფისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა მას საშუალება ჰქონდეს ზრდის მომგებიანი შესაძლებლობებით ისარგებლოს და დიდი ზარალის დადგომის შედეგებისგან მაქსიმალურად დაიცვას თავი.

25. კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მონიტორინგისა და მართვის პროცესის ფარგლებში ჯგუფმა დანერგა აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის კონტროლის მექანიზმები, რათა წამყვან ქართულ ბანკებში მუდმივად მინიმალური ფულადი სახსრები ჰქონდეს განთავსებული.

საქართველოს დაზღვევის სექტორს არეგულირებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს სადაზღვევო კომპანიებისთვის დაწესებული აქვს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები. ამ მოთხოვნების მიზანია გადახდისუნარიანობის საკმარისი მარჟების უზრუნველყოფა.

(ბ) მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნები

2016 წლის 16 სექტემბერს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა გამოუშვა №15 და №16 დირექტივები გადახდისუნარიანობის ნორმატიული მარჟისა და საზედამხედველო კაპიტალის შესახებ, შესაბამისად. კანონი ასევე აწესებს მოთხოვნებს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ზღვრის შენარჩუნებაზე გადახდისუნარიანობის ნორმატიული მარჟის ოდენობით.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დირექტივის თანახმად, სადაზღვევო კომპანია უნდა აკმაყოფილებდეს კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნას პერიოდის განმავლობაში და ყოველთვის უნდა ინარჩუნებდეს ამ თანხის მთლიან ოდენობას ან ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, ან საბანკო ნაშთების სახით. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის №27 დირექტივის მიხედვით, კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა შეადგენს კომპანიის გადახდისუნარიანობის ნორმატიული მარჟის 1/3-ს, არანაკლებ 7,200 ათას ლარს.

2025 წლის 31 დეკემბრისთვის 76,952 ათასი ლარის საზედამხედველო კაპიტალით (2024 წ.: 55,234 ათასი ლარი) სს „თიბისი დაზღვევა“ შესაბამისობაში იყო საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის კაპიტალის მოთხოვნებთან.

საზედამხედველო კაპიტალი განისაზღვრება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფასს-ის მიხედვით აღრიცხული კაპიტალის საფუძველზე, რომელშიც კორექტირებები შესულია, მაგალითად, შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების, არაუზრუნველყოფილი სესხების და ნასესხები სახსრების და სხვ. მიხედვით, როგორც ამას საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის №16 დირექტივა ითვალისწინებს.

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღისთვის ჯგუფი სრულად აკმაყოფილებს საზედამხედველო კაპიტალის დონეს, კერძოდ, შეადგენს გადახდისუნარიანობის ნორმატიული მარჟის 100%-ს.

26 სადაზღვევო რისკის მართვა

(ა) რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა სადაზღვევო რისკის შესამცირებლად

ჯგუფის ძირითადი სადაზღვევო საქმიანობა თავის თავზე იღებს ზარალის რისკს ფიზიკური ან იურიდიული პირებისგან, რომლებიც პირდაპირ ექვემდებარებიან ამ რისკს. ასეთი რისკები ძირითადად უკავშირდება სიცოცხლეს, ავტომობილებს და სხვა სეგმენტებს ჯანდაცვის გარდა, მაგალითად, ქონების, ვალდებულების, ტვირთის, მოგზაურობის და სხვა საფრთხეებისგან დაზღვევას, რომლებიც შეიძლება სადაზღვევო შემთხვევის შედეგად წარმოიშვას. ჯგუფი წინასწარ ვერ საზღვრავს სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის დადგომის დროსა და მოცულობას. ამასთან დაკავშირებული მთავარი რისკი ისაა, რომ ზარალის სიხშირე და მოცულობა შეიძლება მოსალოდნელზე მეტი აღმოჩნდეს.

26 სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

სადაზღვევო შემთხვევებს მოულოდნელობა ახასიათებს და წლის განმავლობაში მათი რეალური სიხშირე და მოცულობა, შესაძლოა, სტატისტიკური მოდელებით მიღებული პროგნოზებისგან განსხვავდებოდეს.

ჯგუფს ასევე აქვს საბაზრო რისკი თავისი სადაზღვევო და საინვესტიციო საქმიანობის გამო. ჯგუფი თავის სადაზღვევო რისკს მართავს რისკების კონცენტრაციების გადაზღვევის, ანდერაიტინგის ლიმიტების, ოპერაციების დამტკიცების პროცედურებისა და პრობლემების მყისიერი მონიტორინგის მეშვეობით.

(i) ანდერაიტინგის სტრატეგია

ჯგუფის ანდერაიტინგის სტრატეგიის მიზანია დივერსიფიკაციის უზრუნველყოფა, რათა ჯგუფის პორტფელს ყოველთვის ახასიათებდეს სხვადასხვა კლასის ერთმანეთთან დაუკავშირებელი რისკები და რისკის თითოეული კლასი, თავის მხრივ, გადანაწილებული იყოს ბევრ პოლისზე. ხელმძღვანელობის აზრით, ეს მიდგომა ამცირებს რეალურად დამდგარი შედეგების ცვალებადობას.

ანდერაიტინგის სტრატეგია მოცემულია ჯგუფის სადაზღვევო რისკის მართვის პოლიტიკაში. სტრატეგია ხორციელდება ანდერაიტინგის ინსტრუქციებით, რომლებშიც დაწვრილებით არის აღწერილი ანდერაიტინგის წესები პროდუქტის თითოეული ტიპისთვის. ინსტრუქციები მოიცავს კონცეფციებსა და პროცედურებს, თანმდევი რისკის აღწერას, პირობებს, უფლებებსა და მოვალეობებს, დოკუმენტაციის მოთხოვნებს, ხელშეკრულებების ნიმუშებს / პოლისების მაგალითებს, მოქმედი ტარიფების დასაბუთებას და ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება მოქმედ ტარიფებზე გავლენა იქონიოს. ტარიფის გამოთვლა ეყრდნობა ალბათობასა და ცვალებადობას.

ანდერაიტინგის ინსტრუქციების დაცვას მუდმივად აკონტროლებს გენერალური დირექტორის მოადგილე.

(ii) გადაზღვევის სტრატეგია

ჯგუფი დაზღვეული რისკების ნაწილს გადააზღვევს, რომ გააკონტროლოს ზარალის მოცულობა და დაიცვას თავისი ფინანსური რესურსები. ჯგუფი ყიდულობს კვოტური გადაზღვევის ხელშეკრულებებს სიცოცხლის, აგრო და საგარანტიო საქმიანობის მიმართულებებისთვის, ხოლო ექსცედენტური გადაზღვევის ხელშეკრულებს — ქონების, ტვირთის და პასუხისმგებლობების დაზღვევის პორტფელისთვის. გარდა ამისა, ფაკულტატური გადაზღვევის დაფარვის შეძენა ხდება ყოველი რისკისთვის ზემოაღნიშნულ პროდუქტებში, რომლებიც ხელშეკრულებების ფარგლებს სცდება.

გადაცემული გადაზღვევა შეიცავს საკრედიტო რისკს და ასეთი გადაზღვევიდან მისაღები თანხები აღირიცხება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ გამოაკლდება ცნობილი გადახდისუნარიანობის და უიმედო ვალდებულებების შესაბამისი მუხლები. ჯგუფი მუდმივად აკონტროლებს გადამზღვეველების ფინანსურ მდგომარეობას და პერიოდულად გადასინჯავს თავის გადაზღვევის ხელშეკრულებებს. 21 ათასი ლარის (2024 წ.: 21 ათასი ლარი) ოდენობის რეზერვი იქმნება გადამზღვეველების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის რისკისთვის.

სს „თიზისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

26. სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვედა ცხრილი მიმოიხილავს ჯგუფის გადაზღვევის ანაზღაურების შესაძლებლობა საკრედიტო რეიტინგის მიხედვით:

ათას ლარში	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
	2025 წ.	2024 წ.
AA+ to AA-	2,943	2,044
A+ to A-	6,301	6,195
B+ to B-	223	398
BB+ to BB-	4,890	1,737
რეიტინგის გარეშე – ქართული	3,915	2,973
რეიტინგის გარეშე – სხვა	131	101
სულ	18,403	13,448

(ბ) სადაზღვევო ხელშეკრულებების პირობები და დაზღვევით მოცული რისკის ხასიათი

სადაზღვევო ხელშეკრულებების პირობები, რომლებსაც არსებითი გავლენა აქვს სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სამომავლო ფულადი ნაკადების მოცულობაზე, ვადებსა და განუსაზღვრელობაზე, განხილულია ქვემოთ. გარდა ამისა, შეფასებულია ჯგუფის ძირითადი პროდუქტები და მათთან დაკავშირებული რისკების მართვის გზები.

(i) ავტოდაზღვევა

პროდუქტის მახასიათებლები

ჯგუფს აქვს ორი ტიპის ავტოდაზღვევა, ავტომობილის სრული დაზღვევა („კასკო“) და მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა. კასკო ხელშეკრულებების მიხედვით, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს აუნაზღაურდებათ კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების დაკარგვის ან დაზიანების შედეგად დამდგარი ზარალი; მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა ითვალისწინებს ავტომობილის მფლობელის მიერ, სადაზღვევო პერიოდში, მსუბუქი ავტოსატრანსპორტის მართვის შედეგად, მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ავტოდაზღვევა ზარალის ანაზღაურების მოთხოვნების დაუყოვნებლივ წარმოადგენს და დაკმაყოფილებას ითვალისწინებს.

როგორც წესი, დაუყოვნებლივ ხდება იმ მოთხოვნების წამოყენება, რომლებიც ეხება დამზღვევისთვის ავტომანქანის ფიზიკური დაზიანების ან დაკარგვის ანაზღაურებას. უფრო დიდი დრო ესაჭიროება და უფრო რთული შესაფასებელია ის მოთხოვნები, რომლებიც ეხება სხეულის დაზიანების ხარჯების დაფარვას.

რისკის მართვა

ზოგადად, ავტოდაზღვევის ფარგლებში ზარალის მოთხოვნა იშვიათად და უმნიშვნელოდ გვიანდება, და მოთხოვნების რეგულირებაც დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. საერთოდ, ამ საქმიანობაში ზარალის ანაზღაურების ვალდებულებების პროგნოზს ზომიერი რისკი ახასიათებს. ჯგუფი აკონტროლებს და რეაგირებს რემონტის, მკურნალობის ხარჯების ტენდენციებსა და ქურდობისა თუ უბედური შემთხვევების სიხშირეზე.

სადაზღვევო მოთხოვნების სიხშირეზე გავლენას ახდენს უამინდობა. ამასთან, ზარალის მოცულობა ზამთრის თვეებში იზრდება. ავტოდაზღვევის ყველა ტიპისთვის რისკების შეფასება ხდება ჯგუფის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

26. სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

(ii) ქონების დაზღვევა

პროდუქტის მახასიათებლები

ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს ქონების დაზღვევას. ქონების დაზღვევა მოიცავს კორპორაციულ და საცალო პაკეტებს. ქონების დაზღვევა დამზღვევს უნაზღაურებს კუთვნილი მატერიალური ქონების განადგურების ან დაზიანების შედეგად მიღებულ ზარალს გარკვეული ლიმიტების ან ფრანშიზის ფარგლებში.

შენობების ან შენობების შიგთავსის დაზიანების შემთხვევები, რომლებიც წარმოშობს ზარალს ანაზღაურების მოთხოვნები, მოულოდნელი ხასიათისაა (მაგ. ხანძარი ან მარცვა) და მიზეზის დადგენა ადვილია. შესაბამისად, ზარალის განსაზღვრა მალევე ხდება და დაყოვნების გარეშე ნაზღაურდება. შესაბამისად, ქონების დაზღვევის მიმართულებას ახასიათებს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნების დაუყოვნებლივ წარმოდგენა და დაკმაყოფილება.

რისკის მართვა

ამ პროდუქტთან დაკავშირებული ძირითადი რისკებია ანდერაიტინგის, კონკურენტუნარიანობის გაუარესებისა და სადაზღვევო მოთხოვნების დაკმაყოფილების რისკები (სტიქიური უბედურებების ცვალებადი სიხშირის ჩათვლით). ჯგუფს ასევე აქვს სადაზღვევო ანაზღაურების მომთხოვნთ მხრიდან ზარალის გაზვიადების და არაკეთილსინდისიერი ქმედებების რისკი.

ანდერაიტინგის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი არ დააკისრებს სათანადო სადაზღვევო პრემიებს მის მიერ სხვადასხვა ქონების დაზღვევისთვის. ბევრი კომერციული ქონების დაზღვევა მოიცავს ადგილმდებარეობის, საქმიანობის ტიპისა და უსაფრთხოების დანერგილი ზომების უნიკალურ ერთობლიობას. ასეთი პოლისების რისკის თანაზომიერი პრემიის გამოთვლა სუბიექტური და, შესაბამისად, რისკიანი იქნება.

ეს რისკები, ძირითადად, იმართება ფასწარმოქმნის და გადაზღვევის პროცესებით. ჯგუფი მიმართავს ანდერაიტინგის მკაცრ კრიტერიუმებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ზარალის რისკი მისთვის მისაღები იყოს. ჯგუფი თავის ქონების რისკებს გადააზღვევს ზარალის ექსცედენტის, თანხის ექსცედენტის, სტიქიური უბედურებების გადაზღვევის ხელშეკრულებებით.

(iii) სიცოცხლის დაზღვევა

პროდუქტის მახასიათებლები

ჯგუფი ახდენს სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებების ანდერაიტინგს, რომელთა მიხედვითაც სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს მოსარგებლის გარდაცვალება ან მუდმივი ქმედუნარიანობა და დამზღვევი აზღვევს ფინანსური დაწესებულების წინაშე დარჩენილ დავალიანებას წინასწარ განსაზღვრული თანხით.

რისკის მართვა

ჯგუფის ანდერაიტინგის სტრატეგია მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ რისკები კარგად იყოს დივერსიფიცირებული საქმიანობის სფეროებისა და გეოგრაფიული არეალების მიხედვით. ჯგუფს ასევე უფლება აქვს, უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე თაღლითური მოთხოვნის აღმოჩენის შემთხვევაში. ჯგუფი გადაზღვევის ხელშეკრულებებს იყენებს სიცოცხლის დაზღვევის ყველა რისკისთვის და რისკის მოცულობა დაყვანილი აქვს მთლიანი ზარალის 10%-მდე. ამ პროდუქტთან დაკავშირებული ერთ-ერთი უმთავრესი რისკია უბედური შემთხვევის თარიღსა და ზარალის განცხადების თარიღს შორის ინტერვალის არსებობა. ამ რისკის გამო, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებისთვის იქმნება დამდგარი სადაზღვევო შემთხვევების დამატებითი რეზერვი, რომელიც გამოითვლება ჯაჭვისებური კიბის სტატისტიკური მეთოდებით.

26. სადაზღვევო მართვა (გაგრძელება)

(iv) ჯანმრთელობის დაზღვევა

პროდუქტის მახასიათებლები

ჯანმრთელობის დაზღვევის წილი ჯგუფის მთლიან სადაზღვევო ბიზნესში 22%-ს შეადგენდა 2025 წელს მთლიანი მოზიდული პრემიის სახით. ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებები ბენეფიციარებს უხდის სადაზღვევო ანაზღაურებას სამედიცინო მკურნალობისა და ჰოსპიტალური მომსახურების ხარჯებისთვის. პორტფელი მთლიანად შედგება კოლექტიური კორპორაციული ხელშეკრულებებისგან.

რისკის მართვა

ჯანმრთელობის დაზღვევის საგანი ძირითადად არის სამედიცინო მკურნალობის აუცილებლობის საფრთხე. ჯგუფი ამის რისკებს მართავს კოლექტიური კორპორაციული ხელშეკრულებების მოზიდვით და ფასწარმოქმნის პოლიტიკით ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით. გარდა ამისა, ჯგუფი იყენებს თავისი პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებების და აფთიაქების მომსახურებას წინასწარ შეთანხმებული ფასებით.

(გ) დაზღვევის რისკის კონცენტრაცია

ჯგუფის სადაზღვევო რისკის უმთავრესი ასპექტია სადაზღვევო რისკის კონცენტრაციის დონე, რომელიც მაღალია მაშინ, როდესაც გარკვეულმა შემთხვევამ ან შემთხვევებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ჯგუფის ვალდებულებებზე. ასეთი კონცენტრაცია შეიძლება გამოიწვიოს ერთმა სადაზღვევო ხელშეკრულებამ ან რისკის საერთო მახასიათებლების მქონე რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებულმა ხელშეკრულებამ, და უკავშირდება ისეთ გარემოებებს, რომლებიც მნიშვნელოვან ვალდებულებებს წარმოშობს. სადაზღვევო რისკის კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ასპექტი ისაა, რომ იგი შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა ინდივიდუალურ კლასებში ან ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ტრანშებში რისკების კონცენტრაციის შედეგად.

რისკის კონცენტრაცია შეიძლება მოხდეს როგორც სერიოზული დანაკარგების მომტანი იშვიათი შემთხვევების დროს, როგორცაა, მაგალითად სტიქიური უბედურებები, ისე სიტუაციებში, როცა ანდერაიტინგი გარკვეული ჯგუფის სასარგებლოდ, მაგალითად, გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში, ხდება.

ჯგუფი თავისი საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებებისთვის რისკის კონცენტრაციას მართავს შიდა დამტკიცებული რისკის აპეტიტის ჩარჩოთი. ქვედა ცხრილში შეჯამებულია რისკის მაჩვენებლები საანგარიშგებო თარიღისთვის.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური

საქმიანობის მიმართულება	2025 წ.	2024 წ.	განმარტების მეთოდი
ავტო	13.0%	11.8%	სატრანსპორტო საშუალებების კონცენტრაცია 100,000 აშშ დოლარზე მეტი სადაზღვევო თანხით მთლიან პორტფელში
ქონება აგრო	2.7%	7.9%	ჰესის პორტფელის წილი ქონების დაზღვევის პორტფელში
პერსონალური რისკები	60.0%	60.0%	ერთი რეგიონის სადაზღვევო თანხის კონცენტრაცია სავალდებულო გადაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით. დებიტორის სიცოცხლის დაზღვევის პოლისების კონცენტრაცია 25,000 აშშ დოლარზე მეტი სადაზღვევო თანხით მთლიან პორტფელში.
ობლიგაციები	70.3%	69.6%	გარანტიების კონცენტრაცია 50,000 აშშ დოლარზე მეტი სადაზღვევო თანხით მთლიან პორტფელში
ჯანმრთელობა	11.9%	18.9%	1 კლიენტზე დაზღვეული პირების წილი (ორგანიზაცია ან დაკავშირებული ორგანიზაციების ჯგუფი) წილი მთლიან პორტფელში.

26. სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

ისტორიულად, ჯგუფი ექსკლუზიურად საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე საქმიანობდა. 2024 წელს ჯგუფმა გადამზღვეველს გადასცა ახალი გადაზღვევის ბიზნესი უზბეკეთიდან, რომელიც 2025 წელს ჯგუფის მთლიანი პორტფელის 6.4%-ს შეადგენს (2024 წ.: 1.7%).

ჯგუფი ამ რისკებს ორმაგი მეთოდით მართავს. ერთი მხრივ, რისკები იმართება სათანადო ანდერაიტინგით. ანდერაიტერებს არ აქვთ რისკების დაზღვევის უფლება, თუ მოსალოდნელი მოგება არ შეესაბამება აღებულ რისკს. მეორე მხრივ, რისკი იმართება გადაზღვევის მეშვეობით. ჯგუფი ყიდულობს გადაზღვევის პაკეტებს თავისი სხვადასხვა კლასის ავტო, სიცოცხლის და ქონების დაზღვევისთვის. ჯგუფი მუდმივად აფასებს გადაზღვევის პროგრამასთან დაკავშირებულ ხარჯებსა და სარგებელს.

(დ) ზარალის რეგულირება

ინფორმაცია ზარალის რეგულირების შესახებ წარმოდგენილია ჯგუფისთვის დამახასიათებელი სადაზღვევო რისკის საილუსტრაციოდ. ცხრილში სადაზღვევო შემთხვევების დადგომის წლების მიხედვით გადახდილი ზარალი შედარებულია ამ ზარალისთვის შექმნილ რეზერვებთან. პროგნოზირებული მაჩვენებელი იზრდება ან მცირდება, როდესაც გადაიხდება ზარალი და მეტი ინფორმაცია ხდება ცნობილი გადაუხდილი ზარალის სიხშირესა და სიმძიმეზე. ცხრილის ქვედა ნაწილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული, დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი, მთლიანი ვალდებულებების და პროგნოზირებული კუმულაციური ზარალის შეჯერება. მართალია, ცხრილში მოცემული ინფორმაცია ეხება წინა წლებში ასანაზღაურებელი ზარალის შესახებ გაკეთებული პროგნოზების მართებულობას, ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მკითხველები სიფრთხილით უნდა მოეკიდნენ წარსულის ზედმეტობის ან დეფიციტის ამჟამინდელი გადაუხდილი ზარალის ნაშთებზე ექსტრაპოლაციას. ჯგუფს მიაჩნია, რომ 2025 წლის ბოლოსთვის აუნაზღაურებელი მთლიანი მოთხოვნების პროგნოზი ადეკვატურია.

კუმულაციური საერთო ზარალის შეფასება

ათას ლარში	2020	2021	2022	2023	2024	2025 წ.	სულ
სადაზღვევო შემთხვევის წელი	39,583	51,648	125,423	94,226	107,959	124,959	-
ერთი წლის შემდეგ	39,625	60,461	68,255	90,349	105,848	-	-
ორი წლის შემდეგ	41,697	52,201	67,590	86,883	-	-	-
სამი წლის შემდეგ	39,384	51,840	66,910	-	-	-	-
ოთხი წლის შემდეგ	39,070	51,652	-	-	-	-	-
ხუთი წლის შემდეგ	39,006	-	-	-	-	-	-
კუმულაციური მთლიანი გადახდილი ზარალი	(38,586)	(51,327)	(66,322)	(83,834)	(97,096)	(103,89)	(441,063)
მთლიანი კუმულაციური ზარალის ანაზღაურების ვალდებულება – სადაზღვევო შემთხვევის წლები 2020-დან 2025-მდე	420	325	588	3,049	8,752	21,061	34,195
მთლიანი კუმულაციური ზარალის ანაზღაურების ვალდებულება – სადაზღვევო შემთხვევის წინა წლები							126
დისკონტირების ეფექტი							-
არაფინანსური რისკის საფუძველზე რისკის კორექტირების ეფექტი							4,651
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი მთლიანი ვალდებულება გაფორმებული ხელშეკრულებებისთვის							38,972

26. სადაზღვევო რისკის მართვა (გაგრძელება)

კუმულაციური წმინდა ზარალის შეფასება

ათას ლარში	2020	2021	2022	2023	2024	2025 წ.	სულ
სადაზღვევო შემთხვევის წელი	29,948	42,082	59,452	65,068	79,983	93,559	-
ერთი წლის შემდეგ	29,307	42,806	13,103	70,858	84,978	-	-
ორი წლის შემდეგ	29,324	37,034	13,873	72,702	-	-	-
სამი წლის შემდეგ	28,625	36,954	13,539	-	-	-	-
ოთხი წლის შემდეგ	28,733	36,793	-	-	-	-	-
ხუთი წლის შემდეგ	28,683	-	-	-	-	-	-
კუმულაციური წმინდა გადახდილი ზარალი	(28,276)	(36,503)	(13,207)	(70,792)	(84,065)	(92,503)	(325,346)
წმინდა კუმულაციური ზარალის ანაზღაურების ვალდებულება – სადაზღვევო შემთხვევის წლები 2020-დან 2025-მდე	407	290	332	1,910	913	1,056	4,908
წმინდა კუმულაციური ზარალის ანაზღაურების ვალდებულება – სადაზღვევო შემთხვევის წინა წლები							73
დისკონტირების ეფექტი							-
რაფინანსური რისკის საფუძველზე რისკის კორექტირების ეფექტი							3,177
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი წმინდა ვალდებულება გაფორმებული ხელშეკრულებებისთვის							8,158

(ე) გადაზღვევის რისკი

ჯგუფი სადაზღვევო რისკს გადააზღვევს, რათა შეამციროს ანდერაიტინგის ზარალის მოცულობა სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში, რომლებიც მოიცავს ინდივიდუალურ და პორტფელურ რისკებს. გადაცემული გადაზღვევის ბიზნესის განთავსება ხდება პროპორციული და არაპროპორციული გადაზღვევის კვოტის/ზარალის ექსცედენტის საფუძველზე, ხოლო შენარჩუნებული რისკის ლიმიტები მერყეობს პროდუქტების ტიპების მიხედვით. ეს გადაზღვევის ხელშეკრულებები გადაანაწილებს რისკს და მინიმუმამდე დაჰყავს ზარალის ეფექტი. თითოეული შენარჩუნებული რისკის ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აფასებს ჯგუფი ამ კონკრეტულ რისკს. ყველა მნიშვნელოვანი რისკი საქმიანობის ყველა მიმართულებით იმართება არასავალდებულო დაფარვით, მნიშვნელოვანი შენარჩუნების გარეშე. გადაზღვევის ხელშეკრულებების პირობებით, გადამზღვეველი თანხმდება, რომ აანაზღაუროს გადაცემული თანხა ზარალის გადახდის შემთხვევაში. თუმცა, ჯგუფს რჩება ვალდებულება თავისი დამზღვეველების მიმართ ამ გადაცემულ გადაზღვევასთან დაკავშირებით, თუ გადამზღვეველი ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. გადამზღვეველის შერჩევასა და ჯგუფი ითვალისწინებს მის კრედიტუნარიანობას.

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა და ზოგიერთი განმარტებითი შენიშვნა საჭიროებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის. სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენის მიზნებისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას ჯგუფი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იყენებს ემპირიულ მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულების კატეგორიზაცია ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეზე, შეფასების მეთოდებში ამოსავალი მონაცემების გამოყენების მიხედვით:

- დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული ფასები (არაკორექტირებული) მოქმედ ბაზარზე;
- დონე 2: აქტივის ან ვალდებულების პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა სხვა პირდაპირი (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირი (ანუ ფასებიდან მიღებული) ემპირიული ამოსავალი მონაცემები
- დონე 3: აქტივის ან ვალდებულების ამოსავალი მონაცემები, რომლებიც არ ეყრდნობა ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს (არაემპირიული მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების კატეგორიზაცია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეზე შესაძლებელია, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების კატეგორიზაცია მთლიანად ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეზე, რომელზეც მთლიანი შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ყველაზე დაბალი დონის მონაცემი იქნა გამოყენებული.

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(i) აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, თუმცა მათი სამართლიანი ღირებულება მოცემულია განმარტებით შენიშვნებში:

ათას ლარში	კონსოლიდირებული					
	31 დეკემბერი, 2025 წ.			31 დეკემბერი, 2024 წ.		
	დონე 1	დონე 2	სულ	დონე 1	დონე 2	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	10,609	10,609	-	15,077	15,077
საბანკო ანაზღაურებები	-	108,247	108,247	-	66,945	66,945
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	5,056	7,766		11,121	11,377	
			12,822			22,498
სულ აქტივები	5,056	126,622	131,678	11,121	93,399	104,520
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	9,626	9,626	-	14,701	14,701
სულ ვალდებულებები	-	9,626	9,626	-	14,701	14,701

ათას ლარში	ინდივიდუალური					
	31 დეკემბერი, 2025 წ.			31 დეკემბერი, 2024 წ.		
	დონე 1	დონე 2	სულ	დონე 1	დონე 2	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	10,599	10,599	-	15,060	15,060
სადეპოზიტო სერტიფიკატები	-	108,247	108,247	-	66,945	66,945
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	5,056	7,766	12,822	11,121	11,377	
						22,498
სულ აქტივები	5,056	126,612	131,668	11,121	93,382	104,503
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	9,626	9,626	-	14,701	14,701
სულ ვალდებულებები	-	9,626	9,626	-	14,701	14,701

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მე-2 დონის სამართლიანი ღირებულებები შეფასებულ იქნა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით. ცვალებადი კურსის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა, როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლი. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა მომავალში მოსალოდნელი საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკებისა და დარჩენილი დაფარვის ვადების მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას, ვინაიდან ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების უმრავლესობა მოკლევადიანია. დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთები მიბმულია საქართველოს ეროვნული ბანკის განაკვეთებზე და ამიტომ მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

(ბ) ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით

(i) კლასიფიკაცია – ფინანსური აქტივები

საწყისი აღიარებისას, ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი კლასიფიცირებულია როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, ვინაიდან ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ ორივე პირობას:

- იგი ფლობილია ისეთი ბიზნესმოდელის მიხედვით, რომლის მიზანიც არის აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI).

(ii) ბიზნესმოდელის შეფასება

ბიზნესმოდელის შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ინფორმაცია:

- გაცხადებული პოლიტიკა და პროცედურები პორტფელისთვის და ამ პოლიტიკის პრაქტიკაში დანერგვა, მათ შორის, არის თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია კონცენტრირებული სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის მიღებაზე, საპროცენტო განაკვეთის გარკვეული პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ვადიანობის მათთან დაკავშირებული ვალდებულებების ვადიანობასთან ან ფულადი ნაკადების მოსალოდნელ გადინებებთან შესაბამისობაზე ან ფულადი ნაკადების აქტივების გაყიდვით რეალიზებაზე;
- როგორ ხდება პორტფელის მაჩვენებლების შეფასება და მათი წარდგენა ჯგუფის ხელმძღვანელობისთვის;
- რისკები, რომლებიც მოქმედებს ბიზნესმოდელის ეფექტურობაზე (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში არსებულ ფინანსურ აქტივებზე) და როგორ იმართება ეს რისკები;
- როგორ ხდება საქმიანობის მენეჯერების კომპენსირება (მაგალითად, თუ კომპენსაცია ეფუძნება მართვის ქვეშ მყოფი აქტივების სამართლიან ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს); და
- წინა პერიოდებში გაყიდვების სიხშირე, მოცულობა და ვადები, მათი გაყიდვების მიზეზები და მომავალში გაყიდვების შესახებ მოლოდინები. ამის მიუხედავად, გაყიდვების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია განცალკევებით არ განიხილება, არამედ მონაწილეობს საერთო შეფასებაში იმისა, თუ როგორ მიიღწევა ჯგუფის გაცხადებული მიზანი ფინანსური აქტივების მართვასთან მიმართებით და როგორ ხდება ფულადი ნაკადების რეალიზება.

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(iii) შეფასება იმისა, არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდა (SPPI)

იმის შეფასებისას, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არის თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდები, ჯგუფმა განიხილა ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობები. ეს მოიცავს იმის შეფასებას, ფინანსური აქტივი შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო პირობას, რომელსაც შეუძლია შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოძრაობის დრო ან სიდიდე ისე, რომ მან ვერ დააკმაყოფილოს ეს პირობა. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა შემდეგი:

- პირობითი მოვლენები, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადების მოცულობა ან დრო;
- წინასწარ გადახდის ან ვადის გახანგრძლივების კომპონენტები;
- პირობები, რომლებიც ზღუდავს ჯგუფის მიერ ფულადი ნაკადების მოთხოვნას კონკრეტული აქტივებისგან; და
- კომპონენტები, რომლებიც ახდენენ ანაზღაურების თანხის მოდიფიცირებას ფულის დროითი ღირებულების გათვალისწინებით (მაგ. საპროცენტო განაკვეთის პერიოდული გადასინჯვა).

(iv) ფინანსური აქტივების და შემოსულობისა და ზარალის შემდგომი შეფასება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი – შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აისახება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი ასევე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(v) გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის.

ჯგუფის ფინანსურ აქტივებს საანგარიშგებო თარიღისთვის დაბალი საკრედიტო რისკი აქვთ. ამიტომ შესაბამისი ზარალის რეზერვები შეფასდა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ტოლი ოდენობით. ეს ფინანსური ინსტრუმენტები იწოდება „პირველი სტადიის ფინანსურ ინსტრუმენტებად“. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელსაც განაპირობებს ფინანსურ ინსტრუმენტებზე დეფოლტის შემთხვევების შესაძლო დადგომა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

(vi) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება და ზარალის რეზერვის წარდგენა

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, საკრედიტო რისკით გაუფასურდა თუ არა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკით გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როცა მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენა უარყოფითად მოქმედებს მომავალში მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე.

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(vii) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება და ზარალის რეზერვის წარდგენა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკით გაუფასურების მტკიცებულება შეიძლება იყოს შემდეგი ემპირიული მონაცემები:

- მოვალის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელებები;
- ხელშეკრულების დარღვევა, როგორცაა დეფოლტის ან ვადაგადაცილების შემთხვევა;
- ჯგუფის წინაშე ვალდებულებების რესტრუქტურისა ისეთი პირობებით, რომლებსაც ჯგუფი სხვა შემთხვევაში არ დათანხმდებოდა;
- მოვალის შესაძლო გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია;
- უზრუნველყოფის საგნის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სიძნელების გამო.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები: ზარალის რეზერვი გამოიქვითება აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან;

(viii) ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა და ხელშეკრულების მოდიფიკაცია

ჯგუფი მაშინ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე, ან როდესაც იგი გადასცემს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების უფლებას ისეთ გარიგებაში, რომლის პირობებითაც ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი გადაიცემა ან რომელშიც ჯგუფი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა აღიარების შეწყვეტის თარიღისთვის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ საზღაურს შორის (მათ შორის ნებისმიერი მიღებულ ახალ აქტივს გამოკლებული ნაკისრი ნებისმიერი ახალი ვალდებულება), აისახება მოგებაში ან ზარალში.

(გ) ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად შემდეგი რისკები აქვს:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოცულობით აქვს ჯგუფს ზემოაღნიშნული რისკები, აგრეთვე რისკის შეფასებისა და მართვის რა მიზნები, პოლიტიკა და პროცესები აქვს ჯგუფს. დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ამ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში.

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭო, ჯგუფის ხელმძღვანელობასთან ერთად, პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვის სისტემის დანერგვასა და ზედამხედველობაზე, ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებასა და მონიტორინგზე და აქციონერების წინაშე თავისი საქმიანობის რეგულარულ ანგარიშგებაზე.

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისთვის, რომ მოხდეს ჯგუფის წინაშე მდგარი რისკების გამოვლენა და გაანალიზება, რისკის სათანადო ლიმიტების დაწესება და კონტროლის მექანიზმების შემუშავება, ასევე რისკებისა და მათი ლიმიტების დაცვის ზედამხედველობა. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, რომ მასში აისახოს საბაზრო პირობებში და ჯგუფის საქმიანობა. ჯგუფი, თავისი ტრენინგებით, მართვის სტანდარტებით და პროცედურებით, მიზნად ისახავს, შექმნას დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელშიც თანამშრომლებს კარგად აქვთ გააზრებული თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას უწევს ჯგუფის ხელმძღვანელობის შესაბამისობას ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან და ამოწმებს რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობას ჯგუფის წინაშე მდგარი რისკებისთვის.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს.

ჯგუფის საკრედიტო რისკის მონიტორინგი მუდმივად ხდება.

ჯგუფი გარკვეულ რისკებს გადააზღვევს გადამზღვეველ კომპანიებში. გადამზღვეველი კომპანიების შერჩევა ეყრდნობა, ძირითადად, კონტრაქტის გადახდისუნარიანობასთან, საიმედოობასთან და კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს.

ჯგუფის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში: გაცემული ფინანსური გარანტიების შემთხვევაში, საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა წარმოადგენს აღებული ვალდებულების თანხას.

(iii) საკრედიტო რისკის მოცულობა

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვადასხვა კომპონენტისთვის.

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	31 დეკემბერი, 2025 წ.	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2025 წ.	31 დეკემბერი, 2024 წ.
<i>ათას ლარში</i>				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10,609	15,077	10,599	15,060
საბანკო ანაზრები	108,247	66,945	108,247	66,945
საინვესტიციო აქტივები	13,755	23,368	13,755	23,368
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	11,619	4,546	11,619	4,546
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	37,859		37,859	
სხვა აქტივები	112	27,469	54	27,469
		428		378
საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა	182,201	137,833	182,133	137,766

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(iii) საკრედიტო რისკის მოცულობა (გაგრძელება)

ჯგუფს არ აქვს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი პირდაპირი სადაზღვევო ოპერაციებიდან წარმოშობილ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რადგან ხდება პოლისების გაუქმება და დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება შესაბამისად მცირდება, თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ დამზღვევს არ სურს ან არ შეუძლია გააგრძელოს პოლისით გათვალისწინებული პრემიის გადახდა.

ხელმძღვანელობა სადაზღვევო პოლისებს გაუფასურებულად მიიჩნევს მათი 30 დღით ვადაგადაცილების შემდეგ.

(დ) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფულადი სახსრების მოზიდვა თავისი ვალდებულებების შესასრულებლად. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თუ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობაში მოყვანა და/ან შეუსაბამობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ფინანსური დაწესებულებების მართვისთვის, ჯგუფის ჩათვლით. სრული შესაბამისობა ფინანსური დაწესებულებებისთვის უჩვეულოა, რადგან ბიზნესსაქმიანობა ხშირად წინასწარ განუსაზღვრელი ვადის და სხვადასხვა ტიპისაა. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, მაგრამ ასევე შეუძლია გაზარდოს ზარალის რისკი.

ჯგუფი ლიკვიდობას მართავს იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობა ნებისმიერ დროს, რათა დროულად დაფაროს ყველა ფულადი ვალდებულება. ჯგუფის ლიკვიდობის პოზიციებს ხელმძღვანელობა თვეში ერთხელ ამოწმებს.

ჯგუფის არადისკონტირებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

კონსოლიდირებული						
ათას ლარში	1 წლამდე	1-2 წელი	2-3 წელი	3-4 წელი	4+ წელი	სულ
31-დეკ-25						
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10,609	-	-	-	-	10,609
საბანკო ანაზღაურებები	72,122	36,124	-	-	-	108,246
საინვესტიციო აქტივები	7,507	1,442	38	4,768	-	13,755
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	11,619	-	-	-	-	11,619
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	35,614	115	419	659	1,052	37,859
სხვა ფინანსური აქტივები	103	9	-	-	-	112
ფინანსური აქტივები, სულ	137,574	37,690	457	5,427	1,052	182,200
ვალდებულებები						
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	63,775	374	858	1,404	-	66,411
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	28,112	-	-	-	-	28,112
საიჯარო ვალდებულება	1,022	1,149	1,113	142	474	3,900
ფინანსური ვალდებულებები	2,328	212	-	-	-	2,540
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულება	1,354	-	-	-	-	1,354
სხვა ვალდებულებები	2,999	273	-	-	-	3,272
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	99,590	2,008	1,971	1,546	474	105,589
ვადიანობის წმინდა შეუსაბამობა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	37,984	35,682	(1,514)	3,881	578	76,611

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

კონსოლიდირებული						
ათას ლარში	1 წლამდე	1-2 წელი	2-3 წელი	3-4 წელი	4+	სულ
31-დეკ-24						
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15,077	-	-	-	-	15,077
საბანკო ანაზრები	49,679	17,266	-	-	-	66,945
საინვესტიციო აქტივები	15,637	2,213	2,815	1,866	837	23,368
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	4,546	-	-	-	-	4,546
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	26,778	388	133	170	-	27,469
სხვა ფინანსური აქტივები	392	36	-	-	-	428
ფინანსური აქტივები, სულ	112,109	19,903	2,948	2,036	837	137,833
ვალდებულებები						
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	52,988	261	114	62	-	53,425
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	14,936	110	68	52	-	15,166
საიჯარო ვალდებულება	932	995	1,109	1,137	665	4,838
ფინანსური ვალდებულებები	4,519	411	-	-	-	4,930
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულება	1,629	-	-	-	-	1,629
სხვა ვალდებულებები	3,359	305	-	-	-	3,664
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	78,363	2,082	1,291	1,251	665	83,652
ვადიანობის წმინდა შეუსაბამობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	33,746	17,821	1,657	785	172	54,181

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ინდივიდუალური						
ათას ლარში	1 წლამდე	1-2 წელი	2-3 წელი	3-4 წელი	4+	სულ
31-დეკ-25						
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10,599	-	-	-	-	10,599
საბანკო ანაზღაურებები	72,122	36,124	-	-	-	108,246
საინვესტიციო აქტივები	7,507	1,442	38	4,768	-	13,755
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	11,619	-	-	-	-	11,619
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	35,614	115	419	659	1,052	37,859
სხვა ფინანსური აქტივები	50	4	-	-	-	54
ფინანსური აქტივები, სულ	137,511	37,685	457	5,427	1,052	182,133
ვალდებულებები						
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	63,775	374	858	1,404	-	66,411
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	28,112	-	-	-	-	28,112
საიჯარო ვალდებულება	1,021	1,149	1,113	142	474	3,899
ფინანსური ვალდებულებები	2,310	210	-	-	-	2,520
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულება	1,354	-	-	-	-	1,354
სხვა ვალდებულებები	2,999	273	-	-	-	3,272
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	99,571	2,006	1,971	1,546	474	105,568
ვადიანობის წმინდა შეუსაბამობა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	37,940	35,679	(1,514)	3,881	578	76,564

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ინდივიდუალური						
ათას ლარში	1 წლამდე	1-2 წელი	2-3 წელი	3-4 წელი	4+ წელი	სულ
31-დეკ-24						
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15,060	-	-	-	-	15,060
საბანკო ანაზღაურებები	49,679	17,266	-	-	-	66,945
საინვესტიციო აქტივები	15,637	2,213	2,815	1,866	837	23,368
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	4,546	-	-	-	-	4,546
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	26,778	388	133	170	-	27,469
სხვა ფინანსური აქტივები	346	32	-	-	-	378
ფინანსური აქტივები, სულ	112,046	19,899	2,948	2,036	837	137,766
ვალდებულებები						
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	52,988	261	114	62	-	53,425
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	14,936	110	68	52	-	15,166
საიჯარო ვალდებულება	932	995	1,109	1,137	665	4,838
ფინანსური ვალდებულებები	4,495	417	-	-	-	4,912
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულება	1,629	-	-	-	-	1,629
სხვა ვალდებულებები	3,359	305	-	-	-	3,664
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	78,339	2,088	1,291	1,251	665	83,634
ვადიანობის წმინდა შეუსაბამობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით						
	33,707	17,811	1,657	785	172	54,132

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ე) ვადიანობის ანალიზი

ჯგუფი ვადიანობის ანალიზს იყენებს თავისი ლიკვიდობის რისკის სამართავად. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების უმეტესობა, ხელშეკრულებების მიხედვით, საანგარიშგებო თარიღიდან ერთ წელიწადში უნდა დაიფაროს, გარდა ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მთლიანი ვალდებულებისა. ხელმძღვანელობის შეფასებით, სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების გამო ფულადი ნაკადების გადინების ვადა ერთ წელს არ აღემატება.

(ვ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო.

ჯგუფის საბაზრო რისკის მოცულობის შემცირების მიზნით, აქტივების განაწილებისა და პორტფელის ლიმიტის სტრუქტურების მონიტორინგისთვის დანერგილია შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები.

(ზ) სავალუტო რისკი

ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები გამოხატულია ერთზე მეტ ვალუტაში. თუ ერთ ვალუტაში გამოხატული აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაშინ ჯგუფს აქვს ღია სავალუტო პოზიცია და მასზე შეიძლება არასახარბიელოდ იმოქმედოს სავალუტო კურსების ცვლილებებმა.

ხელმძღვანელობა ვალდებულია, მუდმივად მოახდინოს სავალუტო კურსების ცვალებადობისა და სავალუტო ბაზრების მონიტორინგი. ჯგუფის მიზანია, დახუროს სავალუტო პოზიციები და უზრუნველყოს ღია სავალუტო პოზიციის მუდმივად ლიმიტებში მოქცევა.

ჯგუფს სავალუტო რისკი, ძირითადად, ექმნება აშშ-ში და ევროში გამოხატული სადაზღვევო მოთხოვნების და ვალდებულებების გამო. ჯგუფის სავალუტო რისკი ასე გამოიყურება:

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

კონსოლიდირებული <i>ათას ლარში</i>	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ლარი
	31-დეკ-2025	31-დეკ-2025	31-დეკ-2025	31-დეკ-2024	31-დეკ-2024	31-დეკ-2024
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	979	3,002	6,628	1,400	671	13,006
საბანკო ანაზრები	-	-	108,247	-	-	66,945
საინვესტიციო აქტივები	13,369	-	386	22,114	935	319
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	7,921	202	3,496	1,339	403	-
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	4,890	3,348	29,621	9,231	1,373	1,591
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	112	-	-	428
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	(27,475)	(4,572)	(34,365)	(20,640)	(4,154)	(3,942)
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	6,423	(2,312)	(32,226)	(1,886)	533	(1,102)
საიჯარო ვალდებულებები	(3,875)	-	(141)	(4,668)	-	(170)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(418)	(1)	(2,003)	(3,579)	(563)	(788)
რისკის ნეტო ოდენობა	1,814	(333)	79,755	3,311	(802)	76,287

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

ინდივიდუალური <i>ათას ლარში</i>	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ლარი
	31-დეკ-2025	31-დეკ-2025	31-დეკ-2025	31-დეკ-2024	31-დეკ-2024	31-დეკ-2024
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	979	3,002	6,618	1,400	671	12,989
საბანკო ანაზღაურებები	-	-	108,247	-	-	66,945
საინვესტიციო აქტივები	13,369	-	386	22,114	935	319
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	7,921	202	3,496	1,339	403	-
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	4,890	3,348	29,621	9,231	1,373	1,591
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	54	-	-	378
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	(27,475)	(4,572)	(34,365)	(20,640)	(4,154)	(3,942)
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	6,423	(2,312)	(32,226)	(1,886)	533	(1,102)
საიჯარო ვალდებულებები	(3,875)	-	(141)	(4,668)	-	(170)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(418)	(1)	(1,992)	(3,579)	(563)	(762)
რისკის ნეტო ოდენობა	1,814	(333)	79,698	3,311	(802)	76,246

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

27 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელოვანი სავალუტო კურსები:

<i>ქართულ ლარში</i>	საშუალო კურსი 2025 წ.	სპოტ კურსი საანგარიშგებო თარიღისთვის 31 დეკემბერი, 2025 წ.
აშშ დოლარი	2.6951	2.7422
ევრო	3.1737	3.0960

<i>ქართულ ლარში</i>	საშუალო კურსი 2024	სპოტ კურსი საანგარიშგებო თარიღისთვის 31 დეკემბერი, 2024 წ.
აშშ დოლარი	2.8068	2.7208
ევრო	2.9306	2.9440

მგრძობელობის ანალიზი

გონივრულობის ფარგლებში, ლარის მოსალოდნელი გამყარება (გაუფასურება) 31 დეკემბრის მდგომარეობით აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით, როგორც ქვემოთ არის აღნიშნული, შემდეგ გავლენას მოახდენდა უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალისა და წმინდა მოგებისა თუ ზარალის ოდენობაზე. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები მუდმივი რჩება.

<i>ათას ლარში</i>	გამყარება მოგება ან (ზარალი) და კაპიტალი	გაუფასურება მოგება ან (ზარალი) და კაპიტალი
31 დეკემბერი, 2025 წ.		
აშშ დოლარი (20%-იანი ცვლილება)	(308)	308
ევრო (20%-იანი ცვლილება)	57	(57)
31 დეკემბერი, 2024 წ.		
აშშ დოლარი (20%-იანი ცვლილება)	(563)	563
ევრო (20%-იანი ცვლილება)	136	(136)

(i) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობა უარყოფითად იმოქმედებს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

ჯგუფს დაბალი რისკი აქვს მცოცავი განაკვეთის მქონე პროცენტთან ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ფინანსური აქტივები, რომლებსაც აქვს საკრედიტო რისკი, არის დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ისინი შეადგენს მთლიანი საკრედიტო რისკის პოზიციის მხოლოდ 1.75%-ს (2024 წ.: 1.5%), შესაბამისად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფს არ აქვს საპროცენტო რისკის მნიშვნელოვანი მოცულობა.

28 პირობითი ვალდებულებები

(ა) სასამართლოში საქმის წარმოება

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი გამოდის ძირითადად ზარალთან ან სუბროგაციის გადახდებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების მხარედ. საანგარიშგებო თარიღისთვის არ მიმდინარეობს ისეთი მნიშვნელოვანი სასამართლო დავები, რომლებსაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე.

(ბ) საგადასახადო გარემო

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. თუ იმ წლის ბოლოდან, რომელშიც საგადასახადო კანონმდებლობა დაირღვა, ოთხი წელია გასული, საგადასახადო ორგანოებს არ აქვთ უფლება დააკისრონ დამატებითი გადასახადები, ჯარიმა ან საურავი.

ამ გარემოებებმა შეიძლება დამატებითი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოებს, შეიძლება, ხელმძღვანელობისგან განსხვავებული ინტერპრეტაცია ჰქონდეთ და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი მოსაზრების დამტკიცებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

29 დაკავშირებული მხარეები

(ა) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

ხელმძღვანელ პირებში შედიან დირექტორები (აღმასრულებელი).

<i>ათას ლარში</i>	2025 წ.		2024	
	ბარჯი	დარიცხული ვალდებულება	ბარჯი	დარიცხული ვალდებულება
მოკლევადიანი სარგებელი ხელფასები და პრემიები	2,908	716	2,533	692
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით	1,140	1,354	2,300	1,629
თანამშრომელთა სხვა სარგებელი სავალდებულო პენსია და დაზღვევა	72	-	55	-
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	4,120	2,070	4,888	2,321

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

29 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

(ბ) გარიგებები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან მიმდინარე ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

კონსოლიდირებული ათას ლარში	2025 წ.			2024				
	საერთო კონ- ტროლს დაქვემ- დებარე- ბული პირები*	სხვა**	მთლი- ანის პროცენ- ტული წილი	მშობ- ელი საწარ- მო	საერთო კონტროლს დაქვემდე- ბარებული პირები*	სხვა**	მთლი- ანის პროცენ- ტული წილი	
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	10,230	-	84%	-	8,759	-	58%
საბანკო ანაზრები	-	60,312	-	92%	-	41,460	-	62%
საინვესტიციო აქტივები	-	5,186	-	39%	-	4,574	-	20%
სხვა აქტივები				0%		285		15%
სულ აქტივები	-	75,728	-	59%	-	55,078	-	37%
ვალდებულებები								
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	-	10,112	230	23%	-	13,263	112	25%
საიჯარო ვალდებულებები	-	-	-	0%	-	-	-	0%
სულ ვალდებულებები	-	10,112	230	13%	-	13,263	112	16%
საკუთარი კაპიტალი								
გამოცხადებული/გადახ დილი დივიდენდები	20,000	-	-	100%	13,600	-	-	100%
სულ საკუთარი კაპიტალი	20,000	-	-	39%	13,600	-	-	20%

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

29 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

კონსოლიდირებული	2025 წ.			2024		
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები*	სხვა**	მთლიანის პროცენტული წილი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები*	სხვა**	მთლიანის პროცენტული წილი
<i>ათას ლარში</i>						
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება						
სადაზღვევო ამონაგები	72,291	854	29%	65,932	2,196	35%
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	(12,420)	(426)	9%	(21,601)	(294)	15%
წმინდა საინვესტიციო და სხვა შემოსავალი	6,370	-	67%	4,726	-	50%
სულ	66,241	428		49,057	1,902	

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

29 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

ინდივიდუალური	2025 წ.					2024				
	მშობელი საწარმო	შვილობილი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები*	მთლიანის პროცენტული წილი	სხვა*	მშობელი საწარმო	შვილობილი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები*	მთლიანის პროცენტული წილი	სხვა*
ათას ლარში										
აქტივები										
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	4	10,226	-	68%	-	9	8,750	-	58%
საბანკო ანაზრები	-	-	60,312	-	90%	-	-	41,460	-	62%
საინვესტიციო აქტივები	-	-	5,186	-	22%	-	-	4,574	-	20%
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	-	7,548	-	-	100%	-	6,584	-	-	100%
სხვა აქტივები	-	-	-	-	0%	-	-	282	-	15%
სულ აქტივები	-	7,552	75,724	-	54%	-	6,593	55,066	-	40%
ვალდებულებები										
სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შექმნილი რეზერვები	-	-	10,112	230	19%	-	-	13,263	112	25%
საიჯარო ვალდებულებები	-	-	-	-	0%	-	-	-	-	0%
სულ ვალდებულებები	-	-	10,112	230	12%	-	-	13,263	112	16%
საკუთარი კაპიტალი										
გამოცხადებული/გადახდილი დივიდენდები	20,000	-	-	-	100%	13,600	-	-	-	100%
სულ საკუთარი კაპიტალი	20,000	-	-	-	28%	13,600	-	-	-	19%

სს „თიბისი დაზღვევა“

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

29 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

ინდივიდუალური	2025 წ.				2024			
	შვილო- ბილი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები*	სხვა**	მთლიანის პროცენტული წილი	შვილობილი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები*	სხვა**	მთლიანის პროცენტული წილი
<i>ათას ლარში</i>								
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება								
სადაზღვევო ამონაგები	-	72,291	854	29%	14	65,918	2,196	35%
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	-	(12,420)	(426)	7%	(18)	(21,584)	(294)	15%
წმინდა საინვესტიციო და სხვა შემოსავალი	384	6,370	-	50%	284	4,726	-	53%
სულ	384	66,241	428		280	49,060	1,902	

დაკავშირებულ მხარეებთან განთავსებულ საბანკო ანაზრებზე დარიცხული წლიური პროცენტი 3,5%-დან 13.75%-მდეა.

* საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებში შედიან საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ჯგუფის“ შვილობილი საწარმოები.

** სხვა დაკავშირებული მხარეები, ძირითადად, მოიცავს საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ წამყვან ხელმძღვანელობასა და საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს.

30 არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

(ა) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ფასს 10-ის შესაბამისად, ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოს ანგარიშგებებს.

(ბ) ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

ინვესტიცია შვილობილ საწარმოში აღირიცხება თვითღირებულებით ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. შვილობილი საწარმოსგან მიღებული დივიდენდის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც განისაზღვრება მის მიერ დივიდენდის მიღების უფლება.

ბასს 36-ის მოთხოვნების საფუძველზე განისაზღვრება, არის თუ არა საჭირო გაუფასურების ზარალის აღიარება შვილობილ საწარმოში კომპანიის ინვესტიციასთან მიმართებით. საჭიროების შემთხვევაში ინვესტიციის მთლიანი საბალანსო ღირებულება მოწმდება გაუფასურებაზე ბასს 36-ის „აქტივების გაუფასურება“ მიხედვით, როგორც ერთი აქტივი. ამისათვის ხდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების (გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უდიდესი) შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. აღიარებული გაუფასურების ზარალი წარმოადგენს ინვესტიციის საბალანსო ღირებულების ნაწილს. გაუფასურების ზარალის შემობრუნების აღიარება ხდება ბასს 36-ის მიხედვით იმდენად, რამდენადაც შემდგომში გაიზრდება ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება.

(გ) უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაანგარიშება ქართულ ლარში (ლარი) ხდება ოპერაციის დღეს არსებული სავალუტო კურსებით.

საანგარიშგებო თარიღით უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშება ლარში ხდება სამუშაო ვალუტის ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. ფულად მუხლებზე საკურსო შემოსულობა ან ზარალი

არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც კორექტირებულია ეფექტური პროცენტით და შენატანებით პერიოდის განმავლობაში, და უცხოურ ვალუტაში ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელშიც კონვერტაცია ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული არაფულადი მუხლები, რომლებიც პირვანდელი ღირებულების საფუძველზეა შეფასებული, გადაანგარიშებულია ოპერაციის დღეს მოქმედი სავალუტო კურსის შესაბამისად.

გადაანგარიშების შედეგად წარმოშობილი საკურსო სხვაობების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

(დ) დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები

(i) დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებები – კლასიფიკაცია

ხელშეკრულებები, რომლის ფარგლებში ჯგუფი იღებს მნიშვნელოვნად სადაზღვევო რისკს, კლასიფიცირებულია როგორც სადაზღვევო ხელშეკრულებები. ჯგუფის მიერ ფლობილი ხელშეკრულებები, რომელთა ფარგლებში იგი შესაბამის სადაზღვევო ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს გადასცემს, კლასიფიცირებულია როგორც გადაზღვევის ხელშეკრულებები. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები ჯგუფს ასევე უქმნის ფინანსურ რისკს.

ყველა სადაზღვევო ხელშეკრულება კლასიფიცირებულია როგორც პირდაპირი მონაწილეობის პირობების არმქონე ხელშეკრულებები.

30 არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(iii) სადაზღვევო ხელშეკრულებების აგრეგირება და აღიარება

სადაზღვევო ხელშეკრულებები შეფასების მიზნით აგრეგირდება ჯგუფებად. სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფები განისაზღვრება სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის იდენტიფიცირებით, რომელთაგან თითოეული მოიცავს მსგავსი რისკების ქვეშ მყოფ და ერთობლივად მართულ ხელშეკრულებებს, და თითოეული პორტფელის გაყოფით წლიურ კოჰორტებად (ანუ გაცემის წლის მიხედვით), ხოლო თითოეული წლიური კოჰორტის გაყოფით ორ ჯგუფად ხელშეკრულებების მომგებიანობის მიხედვით:

- ხელშეკრულებები, რომლებიც წაგებიანია საწყისი აღიარებისას;
- ხელშეკრულებები, რომლებსაც საწყისი აღიარებისას არ აქვს შემდგომში წაგებიანად ქცევის მნიშვნელოვანი ნიშნები;
- წლიური კოჰორტიდან დარჩენილი ნებისმიერი ხელშეკრულება.

ჯგუფის მიერ გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებები აღიარებულია ქვემოთ ჩამოთვლილთაგან უადრესი თარიღით:

მისი სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი (ანუ პერიოდი, რომლის განმავლობაში ჯგუფი მომსახურებას უწყევს ხელშეკრულების საზღვრებში შემავალ ნებისმიერ პრემიასთან დაკავშირებით);

- როდესაც დამზღვევის მიერ პირველი გადახდას ვადა დგება ან, თუ ხელშეკრულებით გადახდის ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ, როდესაც გადახდა ფაქტობრივად მიიღება დამზღვევისგან;
- როდესაც ფაქტები და გარემოებები იმაზე მიუთითებს, რომ ხელშეკრულება წაგებიანია.

როდესაც ხელშეკრულება აღიარებულია, იგი ემატება მოქმედ ხელშეკრულებათა არსებულ ჯგუფს ან, თუ ხელშეკრულება არ აკმაყოფილებს არსებულ ჯგუფში ჩართვის კრიტერიუმებს, იგი ქმნის ახალ ჯგუფს, რომელშიც შემდგომში ემატება მომავალი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებების ჯგუფები ყალიბდება საწყისი აღიარების მომენტში და მას შემდეგ, რაც ყველა ხელშეკრულება დაემატება ჯგუფს, მათი შემადგენლობა აღარ გადაიხედება.

(iii) გადაზღვევის ხელშეკრულებების აგრეგირება და აღიარება

გადაზღვევის ხელშეკრულებები შეფასების მიზნით აგრეგირდება ჯგუფებად. სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის იდენტიფიცირებული პორტფელები გამოიყენება გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფების განსაზღვრისთვის; თითოეული პორტფელი შემდეგ იყოფა წლიურ კოჰორტებად (ანუ გაცემის წლის მიხედვით), ხოლო თითოეული წლიური კოჰორტა — ხელშეკრულებების მომგებიანობის მიხედვით ორ ჯგუფად:

- ხელშეკრულებები, რომელთათვისაც საწყისი აღიარებისას არსებობს წმინდა შემოსულობა; და
- წლიურ კოჰორტაში შემავალი დანარჩენი ხელშეკრულებები.

ჯგუფის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების აღიარება ხდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან უადრესი თარიღით:

- ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი; და
- თარიღი, როდესაც საწარმო აღიარებს საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების წაგებიან ჯგუფს, თუ საწარმომ ამ თარიღით ან ამ თარიღამდე გააფორმა შესაბამისი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც შედის ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფში.

30 არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(iv) დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები

დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები ნაწილდება სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფებზე სისტემური და რაციონალური მეთოდის გამოყენებით და მიუკერძოებლად, გადაჭარბებული ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომი ყოველგვარი დასაბუთებული და დადასტურებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

თუ დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები პირდაპირ მიკუთვნებადია ხელშეკრულებათა კონკრეტული ჯგუფისთვის, მაშინ ისინი ნაწილდება აღნიშნულ ჯგუფზე. თუ დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები პირდაპირ მიკუთვნებადია პორტფელისთვის, მაგრამ არა ხელშეკრულებათა კონკრეტული ჯგუფისთვის, მაშინ ისინი ნაწილდება აღნიშნული პორტფელის შემადგენელ ჯგუფებზე სისტემური და რაციონალური მეთოდის გამოყენებით.

დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები წარმოიშობა მათი გადახდის მომენტში ან მაშინ, როდესაც სხვა სტანდარტის (გარდა ფასს 17-ისა) მიხედვით საჭიროა ვალდებულების აღიარება.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, ჯგუფი გადახედავს ჯგუფებზე განაწილებულ ოდენობებს, რათა ასახოს ის ცვლილებები დაშვებებში, რომლებიც განსაზღვრავს გამოყენებული განაწილების მეთოდის ამოსავალ მონაცემებს. მას შემდეგ, რაც ყველა ხელშეკრულება დაემატება ჯგუფს, აღნიშნულ ჯგუფზე განაწილებული თანხები აღარ გადაიხედება.

(v) ხელშეკრულების ფარგლები

ხელშეკრულებების ჯგუფის შეფასება ითვალისწინებს ყველა სამომავლო ფულად ნაკადს, ჯგუფში არსებული თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად:

(vi) სადაზღვევო ხელშეკრულებები

ფულადი ნაკადები არის ხელშეკრულების ფარგლებში, თუ ისინი წარმოიშობა არსებითი უფლებებიდან და ვალდებულებებიდან, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, რომელშიც ჯგუფს შეუძლია აიძულოს დამზღვევი, გადაიხადოს პრემიები ან რომელშიც აქვს მომსახურების გაწევის არსებითი ვალდებულება.

მომსახურების გაწევის არსებითი ვალდებულება სრულდება მაშინ, როდესაც:

- თუ ჯგუფს აქვს პრაქტიკული უნარი გადააფასოს გარკვეული დამზღვევების რისკები და შეუძლია ფასის დაწესება ან სარგებლის დონის განსაზღვრა, რაც სრულად ასახავს ამ ხელახლა შეფასებულ რისკებს; ან
- ჯგუფს აქვს პრაქტიკული უნარი, გადააფასოს ხელშეკრულების შემცველი პორტფელის რისკები და შეუძლია დაადგინოს ფასი ან სარგებლის დონე, რომელიც სრულად ასახავს აღნიშნული პორტფელის რისკებს, ხოლო ხელახალი შეფასების თარიღამდე პრემიის ფასწარმოქმნა არ ითვალისწინებს იმ რისკებს, რომლებიც ეხება პერიოდებს გადაფასების თარიღის შემდეგ.

(vii) გადაზღვევის ხელშეკრულებები

ფულადი ნაკადები არის ხელშეკრულების ფარგლებში, თუ ისინი წარმოიშობა არსებითი უფლებებიდან და ვალდებულებებიდან, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, რომელშიც ჯგუფი ვალდებულია გადაუხადოს თანხები გადამზღვეველს ან აქვს არსებითი უფლება, მიიღოს მომსახურება გადამზღვეველისგან.

30 არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

გადამზღვეველისგან მომსახურების მიღების არსებითი უფლება სრულდება მაშინ, როდესაც გადამზღვეველს:

- აქვს პრაქტიკული უნარი ხელახლა შეაფასოს მისთვის გადაცემული რისკები და შეუძლია ფასის დაწესება ან სარგებლის დონის განსაზღვრა, რაც სრულად ასახავს ამ ხელახლა შეფასებულ რისკებს; ან
- აქვს არსებითი უფლება, შეწყვიტოს სადაზღვევო დაფარვა.

ხელშეკრულების ფარგლები ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაიხედება, რათა აისახოს გარემოებების ცვლილებების გავლენა ჯგუფის არსებით უფლებებსა და ვალდებულებებზე და, შესაბამისად, დროთა განმავლობაში შესაძლოა შეიცვალოს.

(vii) შეფასება

ჯგუფი თავისი მთლიანი პორტფელისთვის იყენებს პრემიების განაწილებაზე დაფუძნებულ მიდგომას. ეს მეთოდი არის დარჩენილი დაფარვის ვალდებულების შეფასების ნებაყოფლობითი გამარტივება მოკლევადიანი დაფარვის მქონე სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის. სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფზე შესაძლებელია პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება, თუ საწყისი აღიარების მომენტში: (ა) ჯგუფში შემავალ თითოეულ ხელშეკრულებას აქვს ერთწლიანი ან ნაკლები ხანგრძლივობის სადაზღვევო პერიოდი (ანუ პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საწარმო უზრუნველყოფს

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებებს); ან (ბ) ჯგუფისთვის დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების შეფასება პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომით გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისეთ შედეგს გამოიღებს, რომელიც არსებითად არ იქნება განსხვავებული ზოგადი მოდელის ან ცვლადი საკომისიოს მეთოდის გამოყენებისგან. ხელშეკრულებების თითოეული ჯგუფის საწყისი აღიარებისას, ჯგუფი მოელის, რომ მომსახურების თითოეული ნაწილის მიწოდებასა და შესაბამისი პრემიის გადახდის ვადას შორის პერიოდი ერთ წელზე მეტს არ აღემატება. აქედან გამომდინარე, ჯგუფი იყენებს პრემიების განაწილებაზე დაფუძნებულ მიდგომას.

ხელშეკრულებების თითოეული ჯგუფის საწყისი აღიარებისას, დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების საბალანსო ღირებულება განისაზღვრება საწყისი აღიარების მომენტში მიღებული პრემიების ოდენობით. შემდგომში, დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების საბალანსო ღირებულება იზრდება მიღებული ნებისმიერი პრემიისა და ხარჯებად აღიარებული დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაციის ოდენობით, და მცირდება გაწეული მომსახურებისთვის სადაზღვევო ამონაგების სახით აღიარებული თანხით, ასევე საწყისი აღიარების შემდეგ განაწილებული დამატებითი დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ოდენობით. ხელშეკრულებების თითოეული ჯგუფის საწყისი აღიარებისას, ჯგუფი მოელის, რომ მომსახურების თითოეული ნაწილის მიწოდებასა და შესაბამისი პრემიის გადახდის ვადას შორის პერიოდი ერთ წელზე მეტს არ აღემატება. შესაბამისად, ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება არ დააკორექტიროს ფულის დროის ღირებულების ეფექტისა და ფინანსური რისკის გავლენის ასახვის მიზნით.

ჯგუფი სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფისთვის დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილ ვალდებულებას აღიარებს იმ გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ოდენობით, რომლებიც უკავშირდება დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებს. სამომავლო ფულადი ნაკადები არ არის დისკონტირებული, რადგან მათი გადახდა მოსალოდნელია სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან ერთ წლამდე ვადაში.

30 არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(viii) არაფინანსური რისკის კორექტირება

საკმარისი და სანდო საკუთარი სტატისტიკის მქონე ჯგუფებისთვის გამოიყენება სტოქასტური ბუტსტრეპინგის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც გენერირდება სცენარების საკმარისი რაოდენობა, საიდანაც შეირჩევა 75%-იანი ნდობის დონის ეკვივალენტთან შესაბამისი სცენარი. ამ ნდობის დონეზე განსაზღვრული ვალდებულების საუკეთესო შეფასების შედარება კომპანიის ფაქტობრივ ვალდებულების საუკეთესო შეფასებასთან. ამ გზით, სხვაობა ამ ორს შორის იძლევა რისკის შესაბამის კორექტირებას. იმ ჯგუფების შემთხვევაში, სადაც არ არის ხელმისაწვდომი საკმარისი და/ან სანდო მონაცემები, შესაძლებელია დარჩენილი პორტფელის რისკის კორექტირების პროცენტული მაჩვენებლის (RA%) შერჩევა.

საბოლოოდ, კომპანიის დონეზე საერთო რისკის კორექტირება (RA) განისაზღვრება ჯგუფების მიხედვით დათვლილი RA-ების მარტივი ჯამის სახით. ამასთან, დივერსიფიკაციის ეფექტი გამოითვლება გადახდისუნარიანობა II-ის დირექტივაში მოცემული კორელაციებისათვის ყველაზე მარტივი და სანდო პარამეტრების გამოყენებით. საბოლოო RA%-ების მისაღებად ეს დივერსიფიკაციის კოეფიციენტი ინტეგრირდება საწყის (ადრე გამოთვლილ) RA%-ებში. შემდგომში ეს RA%-ები გამოიყენება გამოთვლებში როგორც BEL-ზე მამრავლები.

გადაზღვევის RA განაკვეთების განსაზღვრისას გათვალისწინებულია შემდეგი:

- პროპორციული გადაზღვევის შემთხვევაში – პროპორციულობის გათვალისწინებით გამოიყენება უბრალოდ მთლიანი (gross) განაკვეთები.
- არაპროპორციული გადაზღვევის შემთხვევაში:
 - ასეთ პროგნოზირებული გადახდების წილი, როგორც წესი, ნულოვანია ან არაარსებითია, ვინაიდან ასეთი დიდი ზომის ზარალების დადგომის ალბათობა დაბალია.
 - თუმცა, მსგავსი შემთხვევები რეალურად რამდენჯერმე ხდება, თუმცა ისინი საკმარისი არ არის საიმედო და დახვეწილი ანალიზის ჩასატარებლად; შესაბამისად, საუკეთესო საორიენტაციო მაჩვენებლების სახით კვლავ მთლიანი (gross) განაკვეთები გამოიყენება.

(ix) წარდგენა

აქტივებად კლასიფიცირებული სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელები და ვალდებულებებად კლასიფიცირებული სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელები, ასევე აქტივებად კლასიფიცირებული გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები და ვალდებულებებად კლასიფიცირებული გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია განცალკევებულად. ჯგუფი ახდენს მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების დეზაგრეგირებას (ა) გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგად, რომელიც მოიცავს სადაზღვევო ამონაგებს და სადაზღვევო მომსახურების ხარჯებს, და (ბ) სადაზღვევო ფინანსურ შემოსავლად ან ხარჯებად. გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან შემოსავალი და ხარჯები წარმოდგენილია სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან შემოსავლისა და ხარჯებისგან განცალკევებით. გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლები და ხარჯები, სადაზღვევო ფინანსური შემოსავლებისა ან ხარჯების გარდა, გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგში წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე, როგორც „გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან მიღებული ნეტო ხარჯები“.

ჯგუფი არ ახდენს არაფინანსური რისკის საფუძველზე განხორციელებული რისკის კორექტირების ცვლილების დეზაგრეგირებას გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგად და სადაზღვევო ფინანსურ შემოსავლად ან ხარჯებად. არაფინანსური რისკის შემთხვევაში, ყველა ცვლილება რისკის კორექტირებაში აისახება გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგში.

30 არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(x) სადაზღვევო ამონაგები

სადაზღვევო ამონაგები თითოეული პერიოდისთვის წარმოადგენს იმ მოსალოდნელი პრემიის ოდენობას, რომელიც დაკავშირებულია მოცემულ პერიოდში მომსახურების გაწევასთან. ჯგუფი მოსალოდნელ მისაღებ პრემიებს თითოეულ პერიოდზე ანაწილებს დროის გასვლის საფუძველზე.

(xi) სადაზღვევო მომსახურების ხარჯები

სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი სადაზღვევო მომსახურების ხარჯები, როგორც წესი, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში მათი გაწევის მომენტში. ისინი მოიცავს შემდეგ მუხლებს.

- დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები და სადაზღვევო მომსახურების სხვა ხარჯები;
- დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაცია. ჯგუფი დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაციას ახდენს ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.
- წაგებიან ხელშეკრულებებზე განცდილი ზარალი და ასეთი ზარალების გაუქმება.
- დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულებების კორექტირება, რომლებიც არ წარმოიშობა ფულის დროითი ღირებულების ეფექტის, ფინანსური რისკისა და მათში შესული ცვლილებების შედეგად.

(xii) წმინდა ხარჯები ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან

გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან მიღებული წმინდა ხარჯები მოიცავს გადახდილი გადაზღვევის პრემიების განაწილებას, რასაც აკლდება გადამზღვევებებისგან ამოღებულ თანხები..

ჯგუფი გადახდილი გადაზღვევის პრემიების განაწილებას აღიარებს მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც იგი იღებს მომსახურებებს გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფების ფარგლებში. თითოეული პერიოდისთვის გადახდილი გადაზღვევის პრემიების განაწილება წარმოადგენს იმ მოსალოდნელი პრემიის გადახდების ოდენობას, რომელიც უკავშირდება აღნიშნულ პერიოდში მომსახურების მიღებას.

(xiii) სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

სადაზღვევო ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფების საბალანსო ღირებულებების ცვლილებებს, რომლებიც წარმოშობილია ფულის დროითი ღირებულების, ფინანსური რისკის და მათში მომხდარი ცვლილებების გავლენის შედეგად. სადაზღვევო ფინანსური შემოსავლები ან ხარჯები აღიარებულია მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) საწყისი აღიარება. ინვესტიციები სავალო ფასიან ქალაქებში თავდაპირველად აღირიცხება, როგორც გარიგების დანახარჯების სამართლიანი ღირებულების კორექტირებები. საწყისი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს გარიგების ფასი. საწყისი აღიარებისას შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც სამართლიანი ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე ემპირიული საბაზრო ოპერაციები ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. საწყისი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის აღიარება ხდება, რაც იწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

30 არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ჯგუფი ინვესტიციებს მიაკუთვნებას ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ფასიანი ქაღალდების კატეგორიას. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) ჯგუფის ბიზნესმოდელზე, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტივების პორტფელის მართვისთვის და (ii) აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ბიზნესმოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს ჯგუფი თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად – ჯგუფის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი“), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი“) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნესმოდელში და შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

როდესაც ბიზნესმოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ ჯგუფი აფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას („SPPI“). შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების შესაბამისია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულებაა გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის საწყისი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

(iii) გაუფასურება – საკრედიტო ზარალის რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. ჯგუფი პროგნოზირებს სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გარეშე.

სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებისთვის ჯგუფი იყენებს გაუფასურების სამი სტადიის მოდელს, რომელიც ეფუძნება საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილებებს. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც საწყისი აღიარებისას არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მიეკუთვნება 1-ელ სტადიას. 1-ელ სტადიაზე მყოფი ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება იმ ოდენობით, რომელიც უდრის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელსაც განაპირობებს მომდევნო 12 თვის განმავლობაში ან ხელშეკრულების დაფარვის თარიღამდე (რომელიც უფრო ხანმოკლე ვადაა) შესაძლო დეფოლტის მოვლენა („12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ ჯგუფი გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას საწყისი აღიარების შემდეგ, აქტივი გადავა მე-2 სტადიაზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, ანუ სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსების გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში („არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ ჯგუფი განსაზღვრავს, რომ ფინანსური აქტივი არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, აქტივი გადავა მე-3 სტადიაზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

30 არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(iv) აღიარების შეწყვეტა – ჯგუფი სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლებას ვადა სხვაგვარად გაუვიდა, ან (ბ) ჯგუფმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო აქტივის გადაცემის ხელშეკრულება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

გადაცემულ აქტივზე კონტროლი ნარჩუნდება, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

(ვ) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია საკუთარ კაპიტალად. ჩვეულებრივი აქციების გამოშვებისა და აქციის ოფციონებისთვის პირდაპირ მიკუთვნებადი ზღვრული ხარჯების აღიარება ხდება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, საგადასახადო ეფექტის გათვალისწინებით.

(ზ) დივიდენდები

დივიდენდები ტარდება, როგორც ვალდებულება და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მათი გამოცხადება და დამტკიცება ხდება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია „შემდგომი მოვლენების“ თავში.

(თ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ყოველგვარი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. დანახარჯები მოიცავს აქტივის შექმნასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. ძირითადი საშუალებების ნებისმიერი ერთეულის გასვლის შედეგად შემოსულობის ან ზარალის მიღება განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსავლის შედარებით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან და მისი აღიარება ხდება წმინდა თანხით მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯების მუხლში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების კომპონენტის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს ამ კომპონენტის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მისი დადგომისთანავე.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულების ცვეთა ხდება მათი დამონტაჟების და ექსპლუატაციისთვის მზადყოფნის თარიღიდან ან, შიდა რესურსებით შექმნილი აქტივების შემთხვევაში, იმ თარიღიდან, როდესაც დასრულდა აქტივის შექმნა და იგი ექსპლუატაციისთვის მზად არის. ცვეთა ეყრდნობა აქტივის თვითღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია მოსალოდნელი ნარჩენი ღირებულებით. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

30 არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

ავეჯისა და ინვენტარის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადები 5-დან 10 წლამდე მერყეობს; საიჯარო ქონების გაუმჯობესების სასარგებლო მომსახურების ვადაა შესაბამისი იჯარის ვადა და, თუ იჯარის ვადა განსაზღვრული არ არის, მაქსიმუმ, 7 წელი, ხოლო სატრანსპორტო საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა 10 წელია. ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო თარიღით და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

(i) აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფს იჯარით მხოლოდ საოფისე ფართები აქვს აღებული. ხელშეკრულებები შეიძლება შეიცავდეს როგორც საიჯარო, ისე არასაიჯარო კომპონენტებს. ჯგუფი სახელშეკრულებო ანაზღაურების თანხას საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტებზე ანაწილებს მათი ფარდობითი ინდივიდუალური ფასების საფუძველზე.

იჯარიდან წარმოქმნილი აქტივების შეფასება თავდაპირველად ხდება მათი დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე.

აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხა,
- ნებისმიერი საიჯარო გადახდა, განხორციელებული იჯარის დაწყების თარიღით ან მანამდე, შემცირებული მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდებით,
- ყოველგვარი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები, და
- საიჯარო ხელშეკრულებით მოთხოვნილ მდგომარეობამდე აქტივის აღდგენის ხარჯი.

აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა, როგორც წესი, ერიცხება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უფრო ხანმოკლე პერიოდზე. აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადები 1-დან 10 წლამდე მერყეობს.

(კ) არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადა აქვთ და მათში, ძირითადად შედის, კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზება ხდება იმ ხარჯების საფუძველზე, რომლებიც გაწეულია კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად და სამუშაო პირობებში მოსაყვანად. ჯგუფის კონტროლის ქვეშ მყოფ იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამული უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება, როგორც არამატერიალური აქტივები, თუ მოსალოდნელია, რომ შემოდინებული ზღვრული ეკონომიკური სარგებელი გადააჭარბებს ხარჯებს. ყველა სხვა ხარჯი, რომელიც კომპიუტერების პროგრამულ უზრუნველყოფას უკავშირდება, მაგ. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, აღირიცხება მათი გაწევის დროს.

კაპიტალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის ამორტიზაცია ხდება 1-დან 10 წლამდე სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდით.

30 არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(ლ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა, გაუფასურების ნიშნების აღმოჩენის მიზნით ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება. ასეთი ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, განისაზღვრება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურებაზე შემოწმების მიზნით, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ მოწმდება, ჯგუფდება უმცირეს ჯგუფებად, რომლებიც სხვა აქტივებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისგან დამოუკიდებლად წარმოქმნის ფულად ნაკადებს უწყვეტი გამოყენების პირობებში. ჯგუფის კორპორაციული აქტივები არ წარმოქმნის ცალკე ფულად ნაკადებს და გამოიყენება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორაციული აქტივები ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე ნაწილდება გონივრულობის და თანმიმდევრულობის პრინციპზე დაყრდნობით და მათი გაუფასურების ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი იმ ერთეულის ტესტირებასთან ერთად, რომელზეც ეს კორპორაციული აქტივია განაწილებული.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის ხარჯით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი პროპორციულად გადანაწილდება ამ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებში არსებული აქტივების საბალანსო ღირებულებაზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, რომ გაირკვეს, ხომ არ არის ზარალი შემცირებული ან აღმოფხვრილი. გაუფასურების ზარალი გაუქმდება, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ პროგნოზებში. გაუფასურების ზარალის შემობრუნება ხდება მხოლოდ იმდენად, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვლისა და ამორტიზაციის გამოკლებით, გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო.

(i) საიჯარო ვალდებულება

იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებების საწყისი შეფასება ხდება მათი დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები შედგება ქვემოთ მოყვანილი საიჯარო გადახდების წმინდა დისკონტირებული ღირებულებისგან:

- ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით,
- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ ჯგუფი გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით,
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ჯგუფი აღასრულებს ამ ოფციონს, და
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს ჯგუფის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის ოფციონის აღსრულებას.

30 არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

იჯარის გაგრძელების და ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებები ასახულია ჯგუფის მთელ რიგ საოფისე იჯარის ხელშეკრულებებში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გასაზრდელად ჯგუფის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვის თვალსაზრისით. იჯარის გაგრძელების და ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებების გამოყენება შეუძლია მხოლოდ ჯგუფს და არა

შესაბამის მეიჯარეს. იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (ან იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენების შემდგომი პერიოდი) იჯარის პირობებში აისახება მხოლოდ მაშინ, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). ვალდებულების შეფასებაში ასევე მონაწილეობს საიჯარო გადახდები, რომლებიც ხორციელდება იჯარის გონივრული დაშვებით გაგრძელების შემთხვევაში.

საიჯარო გადახდების დისკონტირება ხდება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არ შეიძლება, როგორც ეს ხშირად ხდება ჯგუფის იჯარების შემთხვევაში, გამოიყენება ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც წარმოადგენს განაკვეთს, რომელსაც ჯგუფი გადაიხდის აქტივის გამოყენების უფლების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის დასადგენად ჯგუფი, როდესაც ეს შესაძლებელია, ამოსავალ წერტილად იყენებს ცალკეული მოიჯარის მიერ ბოლოს მიღებულ მესამე მხარის დაფინანსებას და აკორექტირებს ისე, რომ ასახოს ფინანსურ პირობებში მესამე მხარისგან დაფინანსების მიღების შემდეგ შესული ცვლილებები,

საიჯარო გადასახადები ნაწილდება ძირითად თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური დანახარჯები იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ისე უნდა განაწილდეს, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ.

აღჭურვილობისა და ავტოტრანსპორტის მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების ყველა იჯარა წრფივი მეთოდით აღირიცხება ხარჯად მოგებაში ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარები არის 12-თვიანი ან ნაკლები ვადის მქონე იჯარები.

(ნ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს. 2024 წელს სადაზღვევო კომპანიებისთვის კორპორაციული დაბეგვრის ესტონური მოდელის ამოქმედების შემდეგ, გადავადებული მოგების გადასახადი აღარ გამოიყენება. დასაბეგრი შემოსავალი მოიცავს (1) განაწილებულ გაუნაწილებელ მოგებას, (2) კომპანიის ოპერაციულ საქმიანობასთან არადაკავშირებულ ხარჯებს, (3) საქონლის ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდებას, და (4) წარმომადგენლობის ხარჯებს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ზღვარს ზემოთ.

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის წლის დასაბეგრ მოგებაზე გადასახდელი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული ან ფაქტობრივად ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთებისა, და წინა წლებთან მიმართებით საგადასახადო დავალიანების ნებისმიერი კორექტირების მიხედვით.

30 არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

(ო) აქციებზე დაფუძნებული გადახდის ვალდებულება

2025 წელს სს „თიბისი დაზღვევამ“ დაამტკიცა კომპენსაციის სქემა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის, რომლის მიხედვით, კომპანია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებს ყოველწლიურად, საქმიანობის შედეგებისა და მომსახურების პირობების საფუძველზე, გადასცემს მშობელი საწარმოს (საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“) აქციებს. აქციების გამოყოფის შემდეგ, აქციებზე უფლებების გადაცემა ეტაპობრივად სამი წლის განმავლობაში, პროპორციულად. ამ უფლებების გასხვისება და დაგირავება უფლების გადაცემის პერიოდში აკრძალულია; ასევე, აქციებს ხმის მიცემის უფლება არ ახლავს.

აქციების გადაცემა და ასევე შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით ფასს 2-ის მიხედვით. ხარჯის აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და ვალდებულება აღირიცხება გატარების მეორე მხარეს. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ შენიშვნა

31 ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

2025 წლის 1 იანვრიდან შემდეგი ახალი სტანდარტები და ცვლილებები შევიდა ძალაში:

ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა (გამოშვებული 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაში შესული 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2023 წლის აგვისტოში ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 21-ში რომ დახმარებოდა საწარმოებს ორ ვალუტას შორის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის შეფასებაში და განესაზღვრა სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც არ არსებობდა ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა. საწარმოს ეს ცვლილება ეხება მაშინ, როდესაც მას აქვს გარიგება ან ოპერაცია უცხოურ ვალუტაში, რომელიც სხვა ვალუტაში გადაცვლადი არ არის შეფასების თარიღისთვის კონკრეტული მიზნით. ბასს 21-ში შესული ცვლილებები დაწვრილებით მოთხოვნებს არ შეიცავს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განისაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი. ამის ნაცვლად ისინი გვთავაზობენ ჩარჩოს, რომლის საფუძველზეც საწარმოს შეუძლია განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი შეფასების თარიღისთვის. ახალი მოთხოვნების გამოყენებისას დაუშვებელია შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება. სავალდებულოა შესაბამისი თანხების კონვერტაცია გამოთვლილი სპოტ სავალუტო კურსით სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის და გაუნაწილებელი მოგების ან დაგროვილი საკურსო სხვაობების რეზერვის დაკორექტირება.

ამ ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია ფინანსურ ანგარიშგებაზე.

32 ახალი საბუღალტრო სტანდარტები

გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2026 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და რომლებიც ჯგუფს ვადაზე ადრე არ გამოუყენებია. თუ სხვა რამე არ არის მითითებული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად არ იმოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში – ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში (გამოშვებული 2024 წლის 30 მაისს და ძალაში შესული 2026 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2024 წლის 30 მაისს ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში, რათა:

- (ა) განმარტოს გარკვეული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და აღიარების შეწყვეტის თარიღი, და ახალი გამონაკლისი დააწესოს ზოგიერთი ფინანსური ვალდებულებისთვის, რომელიც იფარება ელექტრონული ფულადი გადარიცხვის სისტემით;
- (ბ) განმარტოს და დააზუსტოს იმის შეფასება, აკმაყოფილებს თუ არა ფინანსური აქტივი მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდის (SPPI) კრიტერიუმს;
- (გ) დაამატოს ახალი განმარტებითი შენიშვნები ზოგიერთი ინსტრუმენტისთვის, ისეთი სახელშეკრულებო პირობებით, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადები (კერძოდ, ზოგიერთი ინსტრუმენტი, რომლის თვისებები მიბმულია გარემოს მიღწევებზე, გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის სამიზნე მაჩვენებლებზე); და
- (დ) განაახლოს განმარტებითი შენიშვნები წილობრივი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერჯის შესახებ ხელშეკრულებები – ცვლილებები ფასს (IFRS) 9-სა და ფასს (IFRS) 7-ში (გამოშვებული 2024 წლის 18 დეკემბერს და ძალაში შესული 2026 წლის 1 იანვრიდან). ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები, რომლებიც დაეხმარება კომპანიებს იმაში, რომ უკეთ წარმოადგინონ ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერჯის ხელშეკრულებების ფინანსური ეფექტები, რომლებიც ხშირად შედგენილია, როგორც ელექტროენერჯის ნასყიდობის ხელშეკრულებები (PPA). არსებული სააღრიცხვო მოთხოვნები შეიძლება სათანადოდ ვერ ასახავდეს იმას, თუ როგორ მოქმედებს ასეთი ხელშეკრულებები კომპანიის საქმიანობის შედეგებზე. იმისათვის, რომ კომპანიებს საშუალება მიეცეთ, უკეთ ასახონ ეს ხელშეკრულებები ფინანსურ ანგარიშგებებში, ბასსს-მა ცვლილებები შეიტანა ფასს 9-ში „ფინანსური ინსტრუმენტები“ და ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“. ცვლილებები მოიცავს შემდეგს: (ა) „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების განმარტება, (ბ) გარკვეული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების შემსუბუქება, თუ ასეთი ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებისთვის და (გ) ინფორმაციის გამჟღავნების ახალი მოთხოვნების დამატება, რაც ინვესტორებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ რა გავლენას ახდენს ასეთი ხელშეკრულებები საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

წლიური გაუმჯობესებები ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში (გამოშვებული 2024 წლის ივლისში და ძალაში შესული 2026 წლის 1 იანვრიდან). ფასს 1-ით განიმარტა, რომ ჰეჯირება უნდა შეწყდეს ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებზე გადასვლისას, თუ ის არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის „მაკვალიფიცირებელ კრიტერიუმებს“ და არა „პირობებს“, რათა გადაჭრილიყო პოტენციური გაუგებრობა, რომელსაც წარმოშობდა არათანმიმდევრულობა ფასს 1-ის ფორმულირებასა და ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებულ ფასს 9-ის მოთხოვნებს შორის. ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს იმ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული აღიარების შეწყვეტით განპირობებული შემოსულობის ან ზარალის შესახებ, რომლებშიც საწარმოს აქვს შენარჩუნებული მონაწილეობა, მათ შორის სამართლიანი ღირებულების შეფასება მოიცავდა თუ არა „მნიშვნელოვან არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს“. ამ ახალმა ფრაზამ ჩაანაცვლა მინიშნება „მნიშვნელოვან ამოსავალ მონაცემებზე, რომლებიც არ ეყრდნობოდა ბაზრის ემპირიულ მონაცემებს“. ცვლილებას ფორმულირება შესაბამისობაში მოჰყავს ფასს 13-თან. გარდა ამისა, ფასს 7-ის დანერგვის გარკვეული სახელმძღვანელო მაგალითები განიმარტა და ტექსტი დაემატა, რომ მაგალითები შესაძლოა არ ასახავდეს ყველა მოთხოვ-

32 სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

ნას, რომელსაც შეიცავს ფასს 7-ის დამოწმებული მუხლები. ფასს 16-ის ცვლილება აზუსტებს, რომ როდესაც მოიჯარე განსაზღვრავს, რომ საიჯარო ვალდებულება დაფარულია ფასს 9-ის შესაბამისად, მოიჯარე ვალდებულია ფასს 9-ის სახელმძღვანელო მითითებების გამოყენებით, ყოველგვარი შემოსულობა ან ზარალი აღიაროს მოგებაში ან ზარალში. დაზუსტება ვრცელდება იმ საიჯარო ვალდებულებებზე, რომლებიც დაფარულია იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დაწყების თარიღით ან მის შემდგომ, რომელშიც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებას. ფასს 9-სა და ფასს 15-ს შორის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად, სავაჭრო მოთხოვნები ამჯერად თავდაპირველად უნდა აღიარდეს, როგორც „ფასს 15-ის გამოყენებით განსაზღვრული თანხა“, ნაცვლად „მათი გარიგების ფასისა (ფასს 15-ის განმარტების შესაბამისად)“. ფასს 10 იმგვარად შეიცვალა, რომ იყენებდეს ნაკლებად დასკვნით ენას, როდესაც საწარმო არის „დე ფაქტო რწმუნებული“ და განმარტოს, რომ ფასს 10-ის 874 პუნქტში აღწერილი ურთიერთობა მხოლოდ ერთი მაგალითია ისეთი გარემოებისა, რომელშიც განსჯა არის საჭირო იმის დასადგენად, არის თუ არა მხარე დე ფაქტო რწმუნებული. ბასს 7 ჩასწორდა, რათა წაშლილიყო მინიშნება „დანახარჯების მეთოდზე“, რომელიც 2008 წლის მაისში იქნა ამოღებული ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებიდან, როდესაც ბასსს-მა გამოუშვა ცვლილება „შვილობილ საწარმოში, ერთობლივად კონტროლირებადი ერთეულში ან მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის დანახარჯი“.

ფასს 18 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“ (გამოშვებული 2024 წლის 9 აპრილს და ძალაში შესული 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2024 წლის აპრილში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 18, ახალი სტანდარტი ფინანსური ანგარიშგების წარდგენასა და განმარტებითი შენიშვნებზე, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მოგებისა და ზარალის ანგარიშგების განახლებებზე. მთავარი ახალი ცნებები, რომელიც ფასს 18-მა შემოიტანა, უკავშირდება:

- მოგებისა და ზარალის ანგარიშგების სტრუქტურას;
- სავალდებულო განმარტებით შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებებში გარკვეული მოგების ან ზარალის შედეგების შეფასებებისთვის, რომელთა ანგარიშგება ხდება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების გარეთ (ანუ ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის შეფასებები); და
- გაფართოებულ პრინციპებს აგრეგირებასა და დეზაგრეგირებაზე, რომელიც ვრცელდება ძირითად პირველად ანგარიშგებებზე და, ზოგადად, განმარტებით შენიშვნებზე.

ფასს 18 ჩაანაცვლებს ბასს 1-ის; ბევრი სხვა არსებული პრინციპი ბასს 1-ში ნარჩუნდება, მცირედი ცვლილებებით. ფასს 18 არ მოახდენს გავლენას ფინანსურ ანგარიშგებებში მუხლების აღიარებაზე ან შეფასებაზე, მაგრამ მან შეიძლება შეცვალოს ის, თუ რას წარმოადგენს საწარმო თავის „საოპერაციო მოგებად ან ზარალად“. ფასს 18 გავრცელდება 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ის ასევე ვრცელდება შესადარის ინფორმაციაზე.

ფასს 19 – „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშგებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები“ (გამოშვებული 2024 წლის 9 მაისს და ძალაში შესული 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ახალი ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შვილობილი საწარმოებისთვის. ფასს 19 შესაბამის შვილობილ საწარმოებს უფლებას აძლევს, გამოიყენონ ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები უფრო მცირე განმარტებების წარმოდგენით. ფასს 19-ის გამოყენება შეამცირებს შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების მომზადების ხარჯს და ამავდროულად შეინარჩუნებს სასარგებლო ინფორმაციას მათი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. შვილობილი საწარმოები, რომლებიც ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს იყენებენ თავიანთი საკუთარი ფინანსური ანგარიშგებებისთვის, შეიძლება წარმოადგენდნენ განმარტებით შენიშვნებს, რომლებიც შეუსაბამოა მათი მომხმარებლების საინფორმაციო საჭიროებებთან. ფასს 19 ამ გამოწვევებს გადაჭრის შემდეგით:

32 სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

- შვილობილი საწარმოებისთვის იმის უფლების მიცემა, რომ მხოლოდ აწარმოონ სააღრიცხვო ჩანაწერების მხოლოდ ერთი კომპლექტი – რათა დააკმაყოფილონ როგორც მშობელი საწარმოს, ასევე მათი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლების საჭიროებები.

- უფრო მცირე ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები – ფასს 19 უფრო მცირე ინფორმაციის გამჟღავნების უფლებას იძლევა, რაც უკეთ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლების საჭიროებებს.

ცვლილებები ფასს 19-ში – „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები“ (გამოშვებული 2025 წლის 21 აგვისტოს და ამოქმედებული 2027 წლის 1 იანვრიდან).- 2025 წლის აგვისტოში ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ფასს 19-ში „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები“, რომლებიც შესაბამის შვილობილ საწარმოებს ეხმარება ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შემცირებით იმ სტანდარტებისა და ცვლილებების გამოყენებისას, რომლებიც გამოშვებულია 2021 წლის თებერვლიდან 2024 წლის მაისამდე პერიოდში, კერძოდ: ფასს 18 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“, მომწოდებლებთან ფინანსური შეთანხმებები (ცვლილებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში); საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – პილარ 2-ის მოდელის წესები (ცვლილებები ბასს 12-ში); ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა (ცვლილებები ბასს 21-ში) და ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებებში (ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში).

ფასს 19-ის ეს შესწორებები ასახავს ცვლილებებს ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის იმ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრამდე, როდესაც ფასს 19 ამოქმედდება.

ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები: კონვერტაცია ჰიპერინფლაციურ წარსადგენ ვალუტაში“ (გამოცემული 2025 წლის 13 ნოემბერს და ძალაში შესული 2027 წლის 1 იანვარს). ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ცვლილებები, რომლებიც აზუსტებს იმას, თუ როგორ შეუძლიათ კომპანიებს გადაიყვანონ ფინანსური ანგარიშგებები არაჰიპერინფლაციური ვალუტიდან ჰიპერინფლაციურ ვალუტაში.

ვიწრო მოქმედების არეალის მქონე ეს ცვლილებები მიზნად ისახავს ინფორმაციის სასარგებლოობის გაუმჯობესებას ხარჯთეფექტიანი გზით. დაინტერესებული მხარეების უკუკავშირზე დაყრდნობით შემუშავებული ეს ცვლილებები, სავარაუდოდ, შეამცირებს მრავალფეროვნებას პრაქტიკაში და უფრო მკაფიო საფუძველს შექმნის ჰიპერინფლაციურ ვალუტაში ანგარიშგებისთვის.

ცვლილებები ბასს 21-ში „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“ ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიებს შეუძლიათ მისი ვადაზე ადრე გამოყენება.

33 შემდგომი მოვლენები

ჯგუფმა 2026 წელს გაანაწილა 5,000 ათასი ლარის დივიდენდები. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ისეთი მოვლენები არ მომხდარა, რომლებიც საჭიროებდა კორექტირებებს ან განმარტებით შენიშვნებს ამ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.